საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 145 (165) პარასკევი, 26 ივლისი, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

25 იანვარს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელიც მიმდინარეობდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აკაკი ასათიანის თავმჯდომარეობით.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მთავრობის წევრები, აგრეთვე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

პრესაში გამოქვეყნებული და რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული დღის წესრიგის დამტკიცებისას მასში დამატებით შეიტანეს კიდევ ორი საკითხი — საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 75-ე მუხლის განმარტების და ქალაქ ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე მმართველობის დროებითი ორგანოების შექმნის შესახებ, უზენაესს საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონის შესახებ. ხოლო საკითხი ქალაქ სიღნაღში არჩევნების მოწყობის შესახებ მოიხსნა.

საკითხების განხილვის დაწყების წინ სრულიად საქართველოს მერად კოსტავას „საზოგადოების სახელით“ განცხადება გაკეთა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ჯაჯა ადამიამ, რომელმაც უარყო 19 ივლისს გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში მარნეულის რაიონის პრეფექტის ხანძრობის გამო მოყვანილი ფაქტები და მოითხოვა შეიქმნას საპარლამენტო კომისია ჭეშმარიტების დასადგენად.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე — საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის დაზუსტებული და წლის მეორე სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ — გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი გურამ ახსანძე. დეპუტატებს შორის აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელმაც საფუძვლიანად გაანალიზა ეკონომიკაში შექმნილი მძიმე სიტუაციის მიზეზები და მოიწოდა მთავრობას, განაზორციელოს გადამჭრელი ღონისძიებანი მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. უზენაესმა საბჭომ მთავრობას დაავალა უმოკლეს ვადაში წარმოადგინოს მოქმედების კონკრეტული პროგრამა.

შემდეგ სიტყვა მიეცა უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს გივი თაქთაქიშვილს. მან დეპუტატთა განსახილველად შემოიტანა საგეწარმოო საქმიანობის საფუძვლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი, რომელშიც სესიის წინა სხდომაზე პირველი წაკითხვით მისი მიღების შემდეგ შეტანილია არსებითი დამატებანი. განიხილა რა ისინი, უზენაესმა საბჭომ მიიღო ის კანონი, აგრეთვე დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

კანონპროექტმა დასაქმების შესახებ, რომელიც განსაკუთრებულად შემოიტანა საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრმა თამაზ გუგუშვილმა, მწვავე კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობდნენ როგორც უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები თეიმურაზ ქორძე, ტარიელ გელანტია, რობერტ პეტრიაშვილი და სხვა დეპუტატები, ისე რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა. საფუძვლიანი აზრთა გაზიარების შემდეგ კანონი დასაქმების შესახებ მიიღეს. მიიღეს აგრეთვე კანონები საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის და დადგენილება ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

უზენაესმა საბჭომ განიხილა - მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონები საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ, უცხოური ინვესტიციებისა და მათი დაცვის შესახებ, დადგენილებანი მათი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის თედო პაატაშვილის წარდგენით დეპუტატებმა მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ. იგი ამოქმედდა მისი მიღების მომენტიდან ამავე სხდომაზე, რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინადადებით მიიღეს გადაწყვეტილება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ 1968 წლის 1 იანვრის ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ. საქართველოს უზენაესმა საბჭომ სომხეთისა და აზერბაიჯანის პარლამენტებს მიმართა წინადადებით, მიმბაძონ მის მაგალითს, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ამორკავკასიის რეგიონის უბრთვო ზონად გამოცხადების გზაზე.

სხდომაზე მიიღეს აგრეთვე დადგენილება საქართველოს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, რომელიც ახლახან დაიდო თბილისში.

იმ რესპუბლიკების უზენაესი საბჭოებისადმი სურ კავშირის უზენაესი საბჭოს მიმართვის პასუხად, რომლებმაც უარი თქვეს ხელი მოაწერონ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, საქართველოს პარლამენტარებმა მიიღეს წერილი მისი მისამართით, რომელშიც ხაზგასმულია რესპუბლიკის მოსწრაფეობა, კავშირურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა კავშირთან თვისებრივად ახალ საფუძველზე, მხოლოდ და მხოლოდ თანასწორუფლებიან, ურთიერთხელსაყრელ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაზე, და, ამის გათვალისწინებით კვლავ დადასტურდა მზადყოფნა მიუსწრდნენ სურ კავშირთან მოლაპარაკების მაგიდას.

ხუთიაზე საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ჯონი ხეცურიანის წარდგენით მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ. მიღებულია უზენაესი საბჭოს დადგენილება რესპუბლიკის ძირითადი კანონის 75-ე მუხლის განმარტების შესახებ.

უზენაესმა საბჭომ განიხილა საკითხი იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც წინათ დეპუტატთა ჯგუფმა გაკეთა ფინანსურ საქმიანობაში ზოგიერთი დარღვევის შესახებ, და გადაწყვიტა შექმნას საპარლამენტო-სამთავრობო კომისია სოფლის მეურნეობის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით ხათანადო რეკომენდაციების შესამუშავებლად.

მიღებულია გადაწყვეტილება ქალაქ ცხინვალისა და ჯავის ტერიტორიაზე შეიქმნას მმართველობის დროებითი ორგანოები პრეფექტურების სახით, აგრეთვე კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის თაობაზე კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

28 ივნისს დეპუტატ ნოდარ ნათაძის შეკითხვის წესით დასმულ საკითხზე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ პატიმრობა გაგზავნის შესახებ უპასუხა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსმა მერაბ რაფავამ.

ამით სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დასამთავრა.

პაპა ცინცაძე,
ედუარდ ედიბერიძე,
საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გრძანებულებით ნოდარ ალექსანდრეს ძე წულეისკირი კათავისუფლებულია საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით თანხმობა მიეცა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს გათავისუფლოს ნოდარ ალექსანდრეს ძე წულეისკირი საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრის თანამდებობიდან.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში

24 ივლისს გაიმართა საქართველოს მთავრობის მორიგი სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ.

სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, განიხილეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მოქალაქეთა სოციალური დაცვის, მათი ცხოვრების გაუმჯობესების, კულტურის, ბიუჯეტის შევსების, მთელი რიგი ახლად შექმნილი სამინისტროებისა და დეპარტამენტების სტრუქტურების სრულყოფისა და სხვა აქტუალური საკითხები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რესპუბლიკის მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო და სხვა პროდუქტებით უზრუნველყოფას. მაგალითად, აღინიშნა, რომ რაიონების პრეფექტურები და საწარმოო გაერთიანებები ვერ ახორციელებენ საკმარის ღონისძიებებს კარტოფილის და ხილ-ბოსტნეულის დასამზადებლად. ამის შედეგად წლეულს მოსალოდნელია შეფერხებები ზამთრის მარაგად კარტოფილისა და ხილ-ბოსტნეულის დაბინავებაში. მიღებულ დადგენილებაში დასახულია ღონისძიებები ამ ფრიად აქტუალური საკითხის მოსაგვარებლად.

1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაინვალიდებულთა და გარდაცვლილთა ოჯახების შრომისუნარიანი წევრების პენსიით უზრუნველსაყოფად მიღებულია დადგენილება, რომლის თანახმად რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ნება დაერთო დაენიშნოს ზემოაღნიშნულ პირებს პენსიები შრომითი სანაჩრობისათვის გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად. ამასთან, მარჩენალდაკარგულთა ოჯახების შრომისუნარიან წევრებს დაენიშნებათ პენსიები მარჩენალის გარდაცვალების დღიდან, ინვალიდებს კი — ინვალიდობის ჯგუფის განსაზღვრის დღიდან, თუ მათ მიმართეს სათანადო ორგანოებს 12 თვეში მაინც.

მიუხედავად დაძაბული ეკონომიკური მდგომარეობისა, დიდი ყურადღება დაეთმო ერის ცხოვრების სულიერ საკითხებს. დიდი ქართველი მწერლის დიდი მეცნიერის ტბელ აბუსერიძის დაბადების რვაასი წლის აღსანიშნავად შექმნილია იუბილეს მომწყობი კომისია.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 1991-1992 სასწავლო წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწესდება ტბელი აბუსერიძის სახელობის თითო სტიპენდია ფიზიკა-მათემატიკის და ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტებზე წარჩინებული სტუდენტებისათვის.

საიუბილეო კომისია შეიქმნა აგრეთვე გამოჩენილი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 110 წლისთავის აღსანიშნავად. საიუბილეო საღამო გაიმართება თბილისში 1992 წლის სექტემბერში. გამოიცემა „მწერლის ნაწარმოებები, შეიქმნება სპექტაკლები და ფილმები მათი მიხეიდვით, გაიმართება ღონისძიებები მწერლის სახელის უკვდავსაყოფად.

საქართველოს მთავრობამ განიხილა საკითხი და მიიღო დადგენილება აკადემიკოს პაატა ბესარიონის ძე გუგუშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად და მისი სახელი მიანიჭა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის „ეკონომიკის ინსტიტუტს.

მთავრობის სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ საკითხს „საქართველოს რესპუბლიკაში ფასწარმოების სისტემის რეფორმის შესახებ“. კერძოდ, გამომსვლელთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ისედაც დაძაბულ ეკონომიკურ ვითარებაში, როდესაც ფაქტობრივად დაცარიელებულია მაღაზიათა დახლები, სავაჭრო ორგანიზაციები წინანდებურად არღვევენ ფასებს. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე საქონელი სხვადასხვა მაღაზიაში სხვადასხვა ფასად იყიდება.

დაწესდა, რომ ამიერიდან ერთიან სახელმწიფო ფიქსირებულ ფასებს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა შეაცრად განსაზღვრული ნომენკლატურის მიხედვით. რეგულირებადი ფასების პროექტები წარედგინება საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს მარეგულირებადი პარამეტრების დასაწესებლად, ხოლო სახელშეკრულებო თავისუფალი ფასები. წარედგინება იმავე ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს მათი რეგისტრაციის მიზნით.

რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, სახელმწიფო კონცერნებს, გაერთიანებებს, საწარმოებს და ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ წარუდგინონ შესაბამისი მასალები ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს, რაზეა უკანასკნელმა 1991 წლის 20 სექტემბრისათვის დაამუშაოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინოს დადგენილების პროექტი საქართველოს რესპუბლიკაში ფასებისა და ტარიფების რეფორმის შესახებ.

გადაწყდა საკითხი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ვაშლისა და მანდარინის სარეალიზაციო ფასების გადიდების შესახებ. სათანადოდ შეისწავლება საკითხი ვაშლის, მანდარინის და ყურძნის ჩასაბარებელი ფასების გადიდების თვალსაზრისით.

ოფიციალური სტატუსი მოიპოვა საქართველო-გერმანიის ერთობლივმა საწარმომ „ი-კარ“-მა. თავის საქმიანობის დასაწყის ეტაპზე აღნიშნული საწარმო მოაწყობს მეფრინველეობის კომპლექსს გურჯაანის რაიონის სოფელ ქოდალოში, სადაც ყოველწლიურად დაამზადებს 1472,3 ტონა ქათმის ხორცს, პერსპექტივაში კი საწარმო მრავალპროფილიანი იქნება.

ამასთანავე გამოითქვა აზრი, რომ ბოლო ხანს რესპუბლიკაში უამრავი ერთობლივი საწარმო ფასოციაცია შეიქმნა. ყოველივე ეს მისასალმებელია და საქართველოს მთავრობა ყოველმხრივ უწყობს მათ ხელს. მაგრამ გადის დრო და მათი უმრავლესობა არავითარ პრაქტიკულ გავლენას არ ახდენს რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასა და რესპუბლიკის ბიუჯეტის გამდიდრებაზე. გადაწყდა უახლოეს დროში შემოწმდეს მათი საქმიანობა, და ყოველ იმ შემთხვევაში, სადაც არ გამოისახება პრაქტიკული შედეგი, ან უახლოესი მომავლის პერსპექტივა, გაუქმდეს ისინი.

დამარა გაგუა,
საქინფორმის კორ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

ე. ლ. კალანდაძის საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **დადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ედმონდ ლავროსის ძე **კალანდაძის** საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრად დანიშვნაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 25 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

გრძანებულება

ე. ლ. კალანდაძის საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დანიშვნის ედმონდ ლავროსის ძე **კალანდაძე** საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 22 ივლისი.

ლია წერილი

გაზეთის რედაქტორებს და გამომცემლებს

გვინდოდა ამ წერილის მოკლე შინაარსი ყოველი თქვენგანისთვის გამოგვეგზავნა, მაგრამ გაზეთების სიმრავლის გამო გადავწყვიტეთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით გაცნობოთ უფრო დაწვრილებთან, მით უმეტეს, ეს ჩვენი საზოგადოებისთვისაც საინტერესო ფაქტია და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს.

ყოველ რედაქტორს თავისი გაზეთი უყვარს, დასციცინებს და უნდა, რაც შეიძლება ბევრი მკითხველი ჰყავდეს, ცდილობს ტირაჟი გაზარდოს. მაგრამ მარტო გაზეთის ტირაჟის გაზრდით, ალბათ, დამეთანხმებით, გაზეთი ვერ მოიგებს პოპულარობს. ამის მაგალითია ის შედგომარეობა, რომელიც სადღისოდ. შექმნა სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციის გაზეთების საცალო ქსელში რეალიზაციამ.

საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების ცნობით, თუ 1991 წლის 1 იანვრისთვის თბილისში 43 გაზეთი გამოდიოდა, წლის პირველ ნახევარში მათმა რაოდენობამ 63 მიაღწია. საგაზეთო ჯიზურები ძალზე გადაიტვირთა, რადგან ვერ ხდება გაზეთების სრული რეალიზაცია და დიდია გაუყიდავი გაზეთების ნაწილი — ჩამოწერილი გაზეთები გროვებად აწყვია პრესის გავრცელების სათავსებში.

ახლა კონკრეტულად.

ჯერ კიდევ აპრილში ჩამოიწერა გაზეთების:

„არქიტექტურა და შენებლობა“	—54,9	პროცენტი
„დედამიწა“	—45,5	„——“
„კოლტური დიადემა“	—38,5	„——“
„ლიტერატურა და სხვა“	—54,9	„——“
„მოძღვარი“	—53,2	„——“
„მშობლიური კერა“	—49,1	„——“
„პეგასი“	—52,3	„——“
„პროგრესი“	—42,7	„——“
„საქმე“	—36,9	„——“
„წუთისოფელი“	—47,1	„——“
„ბრუნვა სპექტრი“	—38,7	„——“

გარდა ამ გაზეთებისა, ბევრი სხვა გაზეთი ვერ გასაღდა დიდი რაოდენობით. 30 დასახელების გაზეთის ტირაჟის ჩამოწერის პროცენტმა 26,3 შეადგინა.

ახლა რა სურათია მაისში, დასახელებული 11 გაზეთის საცალო ქსელში გასაღების მდგომარეობის მიხედვით გვინდა დაწვრილებითი ციფრები მოვიყვანოთ და თვით თქვენ განსაჯეთ. მაშ, ასე:

გაზეთის დასახელება	მიღებულია საბრუნავ-ზალოდ	ჩამოწერა: რესპუბლიკური	ჩამოწერა: თბილისში	ჩამოწერა: სულ	ფასი	ჩამოწერის ჯამი	ჩამოწერის პროცენტი
„არქიტექტურა და შენებლობა“	1.800	228	1.252	1.480	—25	370-00	80,8
„დედამიწა“	27.714	3.017	5.943	8.960	—50	4.480-00	32,3
„კოლტური დიადემა“	47.923	16.803	13.183	29.986	1—00	29.986-00	62,5
„ლიტერატურა და სხვა“	25.000	7.701	11.045	18.746	—50	9.373-00	75,0
„მოძღვარი“	12.535	2.748	3.913	6.661	—50	333-50	53,1
„მშობლიური კერა“	29.517	4.623	8.691	13.314	—40	6.325-00	45,1
„პეგასი“	46.196	12.749	5.989	18.738	—35	6.558-00	40,5
„პროგრესი“	19.968	2.747	10.098	12.845	—30	3.853-50	64,2
„საქმე“	39.402	2.875	7.725	10.600	—50	5.300-00	26,9
„წუთისოფელი“	49.886	15.182	16.275	31.427	—40	12.570-00	63,0
„ბრუნვა სპექტრი“	50.000	8.936	11.146	20.082	—50	10.041-00	20,0
	349.972			172.839		89.191-10	49,4

ფენომენალურია გაზეთების ჩამოწერის საშუალო პროცენტმა 49,4 შეადგინა, სარეალიზაციოდ მიღებული 349.972 გაზეთიდან არ გაიყიდა 172.839 ეგზემპლიარი. ჩამოწერილი გაზეთების ფასმა — 89 ათას მანეთს გადააჭარბა.

ეფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

ასევე დაიმართა ბევრ სხვა გაზეთებს მაისში.

რას მოგვიტანს ახალი ჩამოწერა?

მალე ამასაც გაცნობებთ.

პატივცემულო რედაქტორებო და გამომცემლებო!

თქვენთვის, ალბად, უკვე ცხადია, რა აწუხებს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს. დიახ, — ის, რომ რთულდება ჩვენი მუშაობა. მართლაც, ჩამოსწერ გაზეთებს ჯერ ჯიხურებში შენახვა სჭირდება, დაანგარიშება, ჩაბარება და ბოლოს გადაყრა.

მეორეც, ეს თუმცა სამინისტროს საქმე არ უნდა იყოს, ისარჯება დიდძალი საგაზეთო ქაღალდი, და ვინ იცის, ამის შედეგად შეიძლება. მალე ძალზე გაჭირდეს გაზეთების გამოშვება ჩვენს რესპუბლიკაში.

მესამე, დარწმუნებული ვარ, თქვენც დიდ ფულს ხარჯავთ იმ გაზეთების დასაბეჭდად, რომელიც მაკულატურად იქცევა ხოლმე.

და ბოლოს, ყველასთვის, განსაკუთრებით თქვენთვის, ძალზე დასანანი ჯიხურებში გაუყიდავი გაზეთების ხილვა. გაუყიდავი გაზეთი პოპულარობას კარგავს.

დღეს ჩვენს რესპუბლიკას ყოველმხრივი მხარში ამოდგომა სჭირდება და მხოლოდ ამიტომ მოგმართეთ ღია წერილით. იქნებ ერთმანეთს შევხვდეთ, მოვილაპარაკოთ, კონკრეტული და პრაქტიკული წინადადებები დავსახოთ. გავითვალისწინოთ თქვენი შენიშვნები თუნდაც 29 ივლისს, 10 საათზე, სამინისტროში.

ეს ჩვენი საერთო საქმეა.

დარწმუნებული ვარ, სწორად გამიგიგებთ.

ღრმა პატივისცემით

ანდრეა კარგელაშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს პირველი მოადგილე.

ფანადგომა

„ბუნება“ „მბრძანებელიაო“, ამბობს ვაჟა, და მართლაც დღითი დღე ვრწმუნდებით მისი სიტყვების სისწორეში. მოდი და ნუ დარწმუნდი! — უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში ბუნებამ საზარელი დღეები დაგვიგზავნა თავს. მიწისძვრას, რომელმაც 40 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი დააზიანა და დაანგრია, საშინელი კოკისპირული წვიმები და გრიგალი მოჰყვა თან, რის შედეგადაც გაჩერდა ზოგიერთი საწარმო, რკინიგზა, დაინგრა საავტომობილო გზები და ხიდები, დაატბორა საცხოვრებელი სახლები და, ახლა ვინ იცის, მომავალშიც რა უბედურება გველის ბუნებისა თუ იმპერიისაგან!

ამას წინათ ონის რაიონის კინოთეატრში, — სადაც ჩატარდა მიწისძვრით დაზარალებული რაიონების საერთო ხელმძღვანელობისა და მათი საქმიანობის მაკოორდინირებელი შტაბის მორიგი სხდომა, რაჭა-ტყიბულის მთავარეპისკოპოსის მეუფე ამბროსის (ქათამაძე) ლოცვა-კურთხევით დაიწყო, მან თხოვნით მიმართა შტაბის სხდომის მონაწილეებს, რომ რაჭა ახლად უნდა ააშენონ ჩვენმა სახელოვანმა მშენებლებმა, მიწისძვრისაგან დედამიწაზე დანარცხებული სამრეკლოს მოწყვეტილი დედოფალი ისევ უნდა აყენონ ადგილზე, ისევ უნდა გაგრძელდეს ტაძართა მოქმედება ამ რეგიონში. დედა ბუნებამ დაგვსაჯა — ჩამოგვიქცია მათი კედლები... ამან კი ყველა უნდა გამოფიზიკოს, რწმენისაკენ უნდა შემოაბრუნოს, რადგან ადამიანთა უთვალავი ცოდვა, ათეული წლების მანძილზე ნატვირთი, ტაძართა სიწმინდემ უნდა შეგვიმსუბუქოს.... შემდეგ სამშენებლო კომპლექსის ხელმძღვანელმა, საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბატონმა თამაზ ვაშაძემ გულისტკივილით აღნიშნა, რომ აღარ არის ის ონი, რაც სამი თვის წინათ იყო, დანგრეულია შენობა-ნაგებობათა ოთხმოცი პროცენტი, ათასობით ადამიანი დარჩენილია უსახლკაროდ. სწორედ ახლა გვმართებს ჭირთათმენა, ერთმანეთის დახმარება და თანადგომა, პატივისცემა ხსნად მოსული სტუმრისა და ჩვენი გასაჭირის გამზიარებლისა...

რაჭეული კაცი ოდითგანვე განთქმულია შრომისმოყვარეობით და სტუმარ-მასპინძლობით, არც ამ გასაოცარი და მძიმე გაჭირვების ჟამს შეირცხვენს იგი თავს, თუ ერთმანეთის გატანა და სიყვარული არ იქნება, თუ პატივს არ მიგებენ სხვადასხვა რაიონებიდან დასახმარებლად მოსულ მშენებლებს, ვინღა ააგებს 7015 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლიდან, საცხოვრებლად უვარგის 5670 ნაგებობებს, ვინ უშველის დანგრეული მრავალძალის — ნიკორწმინდის, ბარაკონის, ხიხონინის, ბარის წმინდა გიორგის იკლესიებს, ვინ აღადგენს საგრძნობლად დაზიანებული სორის წმინდა გიორგის ეკლესიის და ონის მოძმეთა სინაგოგას.

სწორედ ახლა, ამ გასაჭირის ჟამს სჭირდებათ ჩამოსულ მშენებლებსაც, მასპინძლებსაც კეთილგონიერება, მამა-პაპური სტუმარმასპინძლობის წესის დაცვა, თორემ განუკითხაობა და ადამიანებთან არა თანამიმდევრული მუშაობა კვლავაც საფუძველს შეუქმნის დანაშაულობების გაზრდას რიცხვს, რომლის ერთი ამაზრზენი ფაქტი ამ რაიონში. უკვე მოხდა, რასაც ადამიანის სიკვდილი მოჰყვა.

ჯემალ ბესარიონის ძე ძიძიშვილი ონის რაიონის სოფელ გლოლაში დაბადებული, რომლის ცხოვრების გზა არც თუ იაფვარდებით იყო მოფენილი, ბავშვობიდანვე შრომით საქმიანობას ეზიარა, 1966 წელს თბილისის სამშენებლო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილქალაქმშენის № 14 სამშენებლო ტრესტში, შემდეგ ლილოს საშენ მასალათა კომბინატში მშენებელ ოსტატად, რომლის მაღლიანი შრომის წილიც ძევს მრავალი საცხოვრებელი სახლისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტის მშენებლობაში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში. საქართველოში 29 აპრილს მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ ჯემალი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც მოხალისედ წამოვიდა თბილისიდან ონის რაიონში თანამემამულეების დანგრეული სახლების აღსადგენად და თავის მშობლიურ სოფელში გლოლაში ვაყაკაცურად შრომობდა ამ ორთვენახევრის მანძილზე, მაგრამ მიმდინარე წლის 19 ივლისს ჯემალი, ვინც რამდენიმე სახლი აღადგინა და იმ დღესაც ერთი თავისი სოფლელის გობეჯიშვილის საცხოვრებელი სახლის დამთავრება ჰქონდა გათვალისწინებული, აი ამ ოჯახში შემოსულმა სიძემ, ვინმე შამათავამ ბუელის არეში დანით მიაყენებული ჭრილობით სიცოცხლეს გამოასალმა.

ეს შემზარავი ფაქტი ბევრ რამეზე მიანიშნებს ონის რაიონის მშრომელებს და მათ ხელმძღვანელობას. სიტყვაც კი უძლურია იმ ფაქტის გადმოსაცემად, რაც იმ დღეს ონის რაიონის ცენტრში ხდებოდა!

შტაბის სხდომაზე ითქვა, რომ დანგრეული და აღსადგენი სახლების მშენებლობათა ორგანიზაციის ერთ-ნაწილა, რომელთაც დაეალებული აქვთ ამ საქმის შესრულება, ისე ჩანს, ან საერთოდ არ ჩამოსულან ონის რაიონში, ან ცუდად მუშაობენ („ელექტორმშენი“, „საქვეკერამშენი“, „საქენერგო“ და სხვ.). საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა ვერა და ვერ მიწესრიგდა იქ მომუშავე სამშენებლო კომპლექსის ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებულ მუშა-თათბირებზე სოფლების საკრებულოების გამგებელთა დასწრების საკითხი, რომლებიც არა ნაკლებ თვეობის ორგანოებმა ყველაფერი უნდა იღონონ მათი ნორმალური კვების, სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისა და საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად.

ასევე ზესტაფონში გამართულ შტაბის სხდომაზე ითქვა, რომ საჭიროა დაჩქარდეს ზესტაფონის და ხარაგაულის საავიაფოფოების მშენებლობა. ხარაგაულის რაიონში ადრე დამეწყრილი ლელვანის, ლაშთპალის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ერთი ნაწილის მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა 29 აპრილის მიწისძვრამ და საჭიროა მათი გადაყვანა საცხოვრებლად უშიშარ ადგილას, თერჯოლაში აღდგენითი სამუშაოების წარმართვას აფერხებს სათანადო ოჯახი, არც ერთი დაზარალებული. პირველ რიგში ამენდეს სახლები ინვალიდების და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის იმ რიგითობის მიხედვით, რომლებსაც შესაბამისი საკრებულოები წარუდგენენ მშენებლებს. რაც შეიძლება სტაბილური უნდა გახდეს ჩვენს ხელთ არსებული საშენი მასალების განაწილება და ტრანსპორტის გამოყენება. გზა უნდა გადაეკეტოს დატაცებისა და ხულიგნობის ყოველგვარ ფაქტებს, შეაცრად გაფრთხილდეს სამშენებლო სამმართველოების, ტრესტების, სამშენებლო კომპლექსების ხელმძღვანელები, რომ ამ საკითხებს მაგრად მოჰკიდონ ხელი.

ითქვა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას სახლზე ადგილებიდან მოსახლეობის მრავალი განცხადება მიდის მთელ რიგ დარღვევებზე, რაც ადგილებზე ხდება.

შტაბის სხდომაზე ხაზი გაესვა იმასაც, რომ ეს დიდი მასშტაბური სამუშაოები არ არის რამდენიმე დღის, თვის ან ერთი წლის საქმე, თანაც ამ პირობებში, როცა არა გვაქვს ისეთი კონკურიერი შექმნილი, რომ უზრუნველყოფდეს საჭირო სამშენებლო მასალების მიწოდებას.

როცა ღია ცის ქვეშ გვაყავს უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობა,— ზოზინი, უსაქმურობა, მოჩვენებითობა, სამშენებლო მასალების გახიავება, ტრანსპორტის არადანიშნულებით გამოყენება და სხვა — ეს არის ღალატი და ეს არავის ეპატიება, რა დამსახურებაც უნდა ჰქონდეს წარსულში.

არც დაუნახამთია კარგი იმ შრომისა, რასაც ქართველ მშენებლებთა ეს დიდი კორპუსი ეწევა. მეტი თანადგომა და დახმარება მშენებლებს ყველასაგან, ვისაც გული შესტკივა საქართველოსათვის!

მშენებლებსა და მათ თანამდგომთ შორებით გაითვალისწინონ და მუშაობის პროგრამად დაისახონ ამ დღეებში ქუთაისში გამართული თათბირის დასკვნები, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია უძღვებოდა. იქ აღინიშნა ონის, ამბროლაურისა და სხვა რაიონებში მიმდინარე სამუშაოებში არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზები და დაისახა მათი აღმოფხვრის გზები.

ჯემალ გუჩუა,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტი.

მშენებლებს მეტი დახმარება სჭირდებათ

შიდა ქართლი

ავტონომიური ოლქის საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადებისგან(დამნისათვის ბრძოლაში სრული პოლიტიკური კრახის შემდეგ ოსმა სეპარატისტებმა ტაქტიკური მოქმედება ნაწილობრივ შეცვალეს და განსაკუთრებული ყურადღება ოლქის სტატუსის შენარჩუნებაზე გაამახვილეს. ეგრეთ წოდებულ საოლქო საბჭოს მორიგ სესიაზე მიიღეს გადაწყვეტილება თვითნებურად შექმნილი საბჭოთა რესპუბლიკის გაუქმებისა და ახალი ტიპის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ. საოლქო საბჭოს სესიამ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე თვითნებურად აღდგენილი ე. წ. რუსეთის ავტონომიური ოლქი ადმინისტრაციულად რსფსრ იურისდიქციას დაუქვემდებარა.

ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს გაუქმებულ ე. წ. ოსეთის ავტონომიას არსებობის იურიდიული საფუძველი არ გააჩნია, მაგრამ სეპარატისტებისათვის არაკონსტიტუციურ გადაწყვეტილებებს, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას არაიეთარი პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ცენტრი კარგა ხნის მანძილზე მათ ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას ამტიუირად უყურდა მხარს; სწორედ ცენტრის მხარდაჭერით იყო განპირობებული, რომ შიდა ქართლში ყოველდღიურად იძაბებოდა არსებული სიტუაცია, რომელსაც შეიძლებოდა კვლავ გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყოლოდა.

შიდა ქართლში ე. წ. ოსეთის ავტონომიის არსებობის იურიდიული საფუძვლების მეცნიერული შესწავლისა და რეგიონში მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის საქართველოს ხელისუფლების უშუალო ინიციატივით შეიქმნა სსრ კავშირის, რსფსრ და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების დეპუტატებისგან შემდგარი საპარლამენტო კომისია. კომისიის წევრებმა იმოგზაურეს ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე. შეხვდნენ როგორც ოსი, ისე ქართველი ხალხის წარმომადგენლებს, დაისახა კონფლიქტის მოწესრიგების კონკრეტული გზები. ამასთან, კომისიამ ოლქის შექმნის ისტორიულ-იურიდიული საფუძვლების შესწავლის შემდეგ ფაქტობრივად გაუქმა „მაღალი რანგის“ მოღალატე ბოლშევიკების მიერ ხელოვნურად შეკოწწეული ოლქი და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ავტონომიური ოლქის გაუქმება საქართველოს რესპუბლიკას უზენაესი საბჭოს პრერეგატივა იყო, მაგრამ ოლქის ხელმძღვანელმა სეპარატისტულმა ძალებმა სამმხრივი კომისიის დასკვნა ობიექტური მნიშვნელობის დოკუმენტად არ მიიჩნიეს და მოსკოვში უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოებს, ვინ იცის უკვე მერამდენედ, გადაუგზავნეს განცხადებები როგორც ოსი ხალხის, ისე საოლქო საბჭოს აღმასკომის სახელით იმის თაობაზე, რომ „კომისია არ იყო კომპეტენტური, მან საფუძვლიანად ვერ შეისწავლა ოსეთის ავტონომიის შექმნა-არსებობის პოლიტიკური საფუძვლები“, და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოსაგან მოითხოვენ ახალი კომისიის გამოყოფას. თანაც საჯარო გამოსვლებში აღნიშნავენ, რომ რეგიონში არსებული ექსტრემალური ვითარება არ ჩაცხრება, სანამ ოფიციალურად ცნობილი არ იქნება ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ცენტრის პროგრამით მომუშავე სეპარატისტი ლიდერები არა თუ ცდილობენ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებასთან კონსტრუქციულ მოლაპარაკებას პოლიტიკური კლიმატის შეცვლისა და ორ ხალხს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარებისათვის, არამედ თავიანთი საზოგადოებრივი მოქმედებით ყველა პირობას ქმნიან არსებული მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავებისათვის. ოსი ხალხის დღევანდელმა წინამძღოლმა ზნაურ გასიევმა ახლახან კომკავშირულ აქტივთან შეხვედრაზე საგანგებოდ აღნიშნა: „სამხრეთ ოსეთის ეროვნულ მოძრაობაში შეცდომები თითქმის არ ყოფილა, მათ შორის, რესპუბლიკის გამოცხადებაც. რაც შეეხება მის გაუქმებას, იგი იძულებითი ნაბიჯი იყო და აუცილებელ შემთხვევაში შეიძლება მას დაეუბრუნდეთ“.

ნათელია, თუ საითკენ არის მიმართული ოსთა ლიდერის განცხადება, მაგრამ აქვს კი მას რაიმე ობიექტური საფუძველი?

ნახევარ წელზე მეტმა დრომ განვლო შს შემდეგ, ოსმა შეიარაღებულმა ძალებმა ცხინვალიდან, ყოფილი ყორნისის რაიონიდან ძალადატანებით გამოაძევეს და საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად აქციეს აქაური ქართველი მოსახლეობა. მათი ბინები გაძარცვეს, დაწვეს. ნაწილმა კი თვითონ შესახლდნენ. არის ადამიანთა მსხვერპლი. სამაჩაბლოში ქართველთა გენოციდს განა შეიძლება ოსური ეროვნული მოძრაობა ეწოდოს, თანაც შეუცდომელი მოძრაობა?! ირწმუნება კიდეც, რომ აუცილებელ შემთხვევაში შეიძლება რესპუბლიკის აღდგენას დაუბრუნდნენ. საინტერესოა, რა იგულისხმება „აუცილებელ შემთხვევაში?“ — პირდაპირი გაგებით ოსი სეპარატისტების მიერ ქართველი ერისათვის იდეოლოგიური ომის გამოცხადება, რომელსაც კარგა ხანია ცენტრის პროგრამით აწარმოებენ; სწორედ კრემლის პრინციპული გადაწყვეტილებაა, რომ ქართლში ოს სეპარატისტ ექსტრემისტთა დღევანდელი მოქმედება პროვოკაციულია. ყოველდღე მძლავრდება და სისხლისღვრისაკენ არის მიმართული. რამდენიმე დღის წინ პატარა ლიახვის ხეობის სოფელ მელოთში მიწისძვრით დაზარალებულ ნათესავებს დანგრეული სახლების გასუფთავება-აღდგენაში ოთხი ეროვნული: მალხაზ არბილაშვილი, ზაურ ქრისტესიაშვილი, სიკო და ნიკო ტარიელაშვილები ეხმარებოდნენ. საღამო ხანს ნამუშევარი ავტომანქანა „ნივით“ მშობლიური სოფლისაკენ მიეშურებოდნენ, რომ სოფელ ელტურის გადასახვევთან, ლიახვის პირას ჩასაფრებულმა ოსმა ექსტრემისტებმა სროლა აუტეხეს. მთელი ხეობა ფეხზე დადგა. ოთხივე დაჭრილი გორში წაიყვანეს. მუცლის არეში დაჭრილ ზაურ ქრისტესიაშვილს ნიმ“ ერთ-ერთი ნომერი ჩავიდნოდა, სტატიის ერთ წერილში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ქართველები ცხინვალში თავიანთ სახლკარს უნდა დაბრუნებოდნენ. რას ემსახურებოდა ეს სტატია, სიცრუეს თუ სინამდვილეს? ცხადია, სტატია პროვოკაციული იყო, თორემ ცხინვალში სად უნდა ეცხოვრათ სახლ-კარგადამწვარ ქართველებს? ირწმუნა გაზეთისა, და გულდაჯერებულს, საკუთარი სახლის ნახვის სურვილმა სძლია. ცხინვალში შესულმა ჯერ თავისი ძველი შეგობარი ქალი მარო ჯიოევა მოინახულა და სთხოვა თარაბ იანტბელიძეს, ალექსანდრე გეგი ცისკარიძეებს, ვანო ნადირაძეს, ვანო სამხარაძეს, ვიქტორ ოდიკაძეს, კუკური მაისურაძეს, სულ ოც კაცს სახლები გადაუწვეს.

ფრონტისპირელ ლტოლვილთა ტალღა კვლავ დედაქალაქისკენ დაიძრა, უსახლკაროდ დარჩენილებმა ნათესაობას დროებით შეაფარეს თავი. იმ დღეს რამდენიმე მათგანს შევხვდი და გავესაუბრე.

— რატომ დატოვეთ მშობლიური ადგილები? — ვკითხე გლეხ ბეგიაშვილს.

რა ხდება სამაჩაბლოში?

— ეეხ, შვილო, სიტყვით ადვილად ითქმის, მაგრამ რა გვექნა? ოცი შეიარაღებული თავს დაგვეხსა. ავტომატებით დაცხრილეს ივანურობა, ტანსაცმლის ჩაცმაც არ გვაცალეს, ბეწხინით სავსე ბოთლები ისე შეაყარეს ოთახებში. გულდამწვარი ფეტერროდი წლების მანძილზე ჩემი წვალებით აშენებულ სახლს, მაგრამ რა შექნა? აღარას ვჩივი, რასაც ჩემი შვილები, შვილიშვილები ცოცხლები მაინც გამოვიყვანე.

— თავს ვინ დაგვისახათ?

— ჩვენი მხარის ოსები. ისინი ვინც მართლა ნათესავები გვეგონა.

— მაგათთან მეგობრობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. — საუბარში სამოცდაათ წელს მიღწეული ბანდელოსანი ჩაერია, — მთელი ცხოვრება ფრონის ხეობაში გავატარე და არავისთვის ცუდი არ გამიკეთებია. მაგრამ ერთ საათში დამიწვეს სახლ-კარი, მთელი ჩემი ქონება დაფაკარგე, რასაც მთელი სიცოცხლე ვაკოწწეწებდი. — შერე ქალმა თავზე ხელი შემოირტყა, თვალცრემლიანმა შემომხედა, — ამ ხალათისა და პერანგის ამარა დავრჩი, სადღა წავიდე, რა გავაკეთო?

— რომელი სოფლიდან ხართ? — ვკითხე.

— ვიცი, რაც გაინტერესებთ. მე ოსის ქალი ვარ — ეზო ჯიოევა, შეუღლე ქართველისა — ვიქტორ ოდიკაძისა. ჩემს მეუღლეს ექსტრემისტებმა ადრე სამი თვის წინ სცემეს და ოთხიოდან გააგდეს. მე დავრჩი სახლში, ვიფიქრე, ოსი ქალი ვარ, იქნება სახლები დაწვას გადადგარნინო-მეთქი, მაგრამ... როცა შეიარაღებულნი მოვიდნენ შევეხვეწე, სახლებს ნუ დამიწვავთ-მეთქი. იმათ კი მასხარად ამიგდეს, ქართველს რომ ცოლად მიჰყვებოდი, არ იცოდი, რომ ეს დღე დაგადგებოდაო...

ლტოლვილებთან საუბარში გაირკვა, რომ ფრონის ხეობაში ერთბანს სიწყნარე იყო. ქართველებსა და ოსებს შორის მოლაპარაკებაც მიდიოდა ურთიერთნდობის აღდგენაზე, მაგრამ ახლახან ყოფილ რაიკენტრში ე. წ. პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ზნაურ გასიევი და ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი დეპუტატი ანატოლი ჩეხოევი ჩასულან. მათ დიდი მიტინგი ჩაუტარებიათ ხეობაში. ა. ჩეხოევმა ოს მოსახლეობას მოუწოდა, რომ ქართველები უნდა გაეძევოთ და მათ ადგილზე ოსებს ჩავასახლებთო.

შიდა ქართლში მცხოვრებ მოსახლეობას — ქართველებსა და ოსებს საერთო ენა ჯერ კიდევ ვერ გამოუნახავთ. ისინი ერთმანეთისადმი უნდობლობის გრძნობით არიან განწყობილნი. ცხინვალიდან ოსურ სოფლებში ავტობუსებით მიმავალ ოსებს დღის ნებისმიერ დროს სსრკ შეიარაღებული ძალები მიაცილებენ... საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ქართველების მხრიდან ოსებზე თავდასხმის არც ერთი ფაქტი არ არსებობს, მაგრამ საკითხავია — იმ რეგიონში, სადაც მუდამ მისი ისტორიული პატრონი ქართველი იყო, შეიძლება ასეთი უნდობლობა?!

დროა ოსი ხალხის წინამძღოლებმა არსებული მდგომარეობა ღრმად გააანალიზონ და სწორი დასკვნები გამოიტანონ, თორემ სახლების დაწვით, პირუტყვის გატაცებით, პიკეტების მოწყობით, მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმებით პოლიტიკურ მდგომარეობას ვერ გაუმჯობესებენ. ოს ხალხს ქართველი ერი ბრძოლას არ უცხადებს, მთ გონიერებისა და კეთილშეზობლური ურთიერთობისაკენ მოუწოდებს, რადგანაც მეცნიერული დასკვნებით ცნობილია, რომ ოს სეპარატისტთა ანტიქართული მოქმედება ჩანასახშივე მცდარი იყო.

მინაწერი: ეს წერილი მზად იყო, როდესაც ფრონის ხეობიდან მივიღეთ ახალი ინფორმაცია:: ოსთა შეიარაღებულმა ბანდებმა კვლავ ვანდალური საქციელი ჩაიდინეს. სახლები გადაუწვეს იაში და ვალიკო გაგნიძეებს, ანატოლი და სლავა ხარაულებს, ვანო სამხარაძეს, ცხინვალში პირველი ჯგუფის ინვალიდს სანდრო კეკოშვილს, ხოლო მათ მიერ ბარბაროსულად ნაცემ-ნაწამები ეპხარ მაისურაძე და ალბერტ თხილიძე გორის საავადმყოფოში მძიმედ დაშავებულნი წვანან.

საინტერესოა, როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე? ოსური ინტელიგენციის წარმომადგენლებს ბაგრატ ტეხოევს, რევაზ ასიევს, ლუდვიგ ჩიბიროვს, ავქსენტი ქოზაევს და სხვებს, თავის დროზე ძმობას და მეგობრობას რომ გვეფიცებოდნენ, არ აწუხებთ შიდა ქართლში უკანონოდ დაჩაგრული ქართველთა ბედი? რატომ ხმას არ იმაღლებენ ასეთი ნაცისტური მოქმედების წინააღმდეგ?

გივი გორცევაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“ ნაკ. კორ.

შემთხვევა

ფრთხილად, კონტრაბანდაა!..

23 ივლისს თბილისი-თელ-ავივის რეისზე დააკავეს დიდი რაოდენობის კონტრაბანდა, რომელიც საზღვარგარეთ გასატანად იყო გამზადებული. საქართველოს ეროვნული უშიშროების კომიტეტისა და თბილისის სახაზოს მუშაკების ოპერატიული მოქმედების შედეგად ძვირადღირებული ისტორიული ფასეულობა ბოროტმოქმედებმა რესპუბლიკიდან ვერ გაიტანეს. ამ საკითხის ირგვლივ ჭორჭორობით ბევრი რამ ბუნდოვანია, მაგრამ სულ მალე ალბათ გამოძიება ნათელს მოჰფენს ყველაფერს.

ბოთაგზობთ ეურნალისტ მარიკა ბაძრაძის ინტერვიუს სახაზოს უფროსის მოადგილე ბატონ ზურაბ მარაიძესთან.

— ბატონო ზურაბ, თქვენ ამ ოპერაციის მონაწილე ბრძანდებით. რას გვეტყოდით უფრო დწვრილებით?

—საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისათვის ცნობილი გახდა, რომ მზადდებოდა დიდი რაოდენობის კონტრაბანდა საზღვარგარეთ გასატანად. ცნობილი იყო ისიც, რომ ბოროტმოქმედნი განზრახვის სისრულეში მოყვანას საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით აპირებდნენ. მათ ნივთები წინასწარ შეზიდეს თვითმფრინავის სამალავში და თვალის ახვევის მიზნით სხვადასხვა სპეც. დანიშნულებისა და ეკიპაჟისათვის საჭირო საგნებით შენიღბეს.

— წინასწარ შეიმუშავეთ რაიმე გეგმა თუ მოვლენების განვითარებას დაელოდეთ?

— როგორც იცით, რეისის გაცილებისას და მიღებისას ყველა მგზავრის ბარგი აუცილებლად ისიჯება ტელემეტიტორზე. საეჭვო ბარგი იხსნება და საჭიროების შემთხვევაში მგზავრის თანდასწრებით დგება დრობითი დაკავების აქტი. შემდეგ ექსპერტები ადგენენ მათ ფასეულობას და საქმეს ეროვნული უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო განყოფილებას გადასცემენ. თუ ნივთის ღირებულება აღემატება ათი ათას მანეთს, აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, რაც შეეხება აღნიშნულ შემთხვევას, რომლის შესახებაც წინასწარ ვიყავით ინფორმირებული, გადაგწყვიტეთ გადამალული ნივთები პირდაპირ თვითმფრინავის ბორტზე მოგვეძებნა.

შედგა ოპერატიული ჯგუფი, აეროფლოტის წარმომადგენლებთან და მესაზღვრეებთან ერთად საფუძვლიანი გასინჯვა ჩავატარეთ. შემოწმდა სალონის თითოეული სავარძელი, სარქველი, ყველა კუთხე-კუნჭული და თვითმფრინავის საბარგულში კარგად შენიღბული ორი მოზრდილი ხელჩანთა აღმოვაჩინეთ.

— როგორ ფიქრობთ, ვის და როდის შეიძლებოდა შეეტანა თვითმფრინავის საბარგულში ეს ძვირფასი ნივთები; რამდენადაც ვიცი, ეს უცხო პირთათვის დახურული ზონაა.

— წინასწარ ძნელია ამაზე ლაპარაკი. ალბათ ყველაფერს გამოძიება დაადგენს. ერთი კი ნათელია, ბოროტმოქმედება ზუსტად იცოდა, თუ რომელი თვითმფრინავი უნდა გაფრენილიყო იმ დღეს. შესაძლებელია აეროპორტის რომელიმე მუშამ, ტექნიკოსმა ან უბრალო მოხელემ შეიტანა ნივთები.

— მაინც როგორ შეიძლება ამის დადგენა?

— რეისის დანიშნა, ეკიპაჟის გამოყოფა რამდენიმე საათით ადრე ხდება ცნობილი. მაგალითად, თბილისი-თელ-ავივის მიმართულებით დაფრინავენ ტუ-154 და ტუ-134 თვითმფრინავები, რომელთა ეკიპაჟებიც თავისუფალ დროს შიდა რეისებზეც არიან დასაქმებული.

— იქნებ სწორედ ამ დროს მოხდა ამ ბარგის შეტანა-გადამალვა?

— ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ეს დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ამ საქმის ჩამდენმა კარგად იცოდა, თუ სად და როდის უნდა გადაამალა ძვირფასეულობა. ვინ, რა მიზნით და როგორ მოიმოქმედა ყოველივე, ვფიქრობთ, ამის დადგენა არ უნდა გაჭირდეს. გამოძიება გაარკვევს, თუ ვის ჰქონდა თვითმფრინავთან მიახლოების უფლება, ვის უნდა სცოდნოდა ზუსტად თვითმფრინავის ნომერი და სხვა.

— ესე იგი, თქვენ მიგაჩნიათ, რომ დანაშაული ზუსტად სამშობლო დილით, თვითმფრინავის რეისის დასახელებისა და ეკიპაჟის გამოყოფის შემდეგ მოხდა? რა ზომები მიიღეთ წინასწარ?

— როდესაც საგანგაშო სიგნალი არ გვაქვს ჩვეულებრივ, ვიზუალურად ხდება თვითმფრინავის სალონების დათვალიერება. აღნიშნული რეისის ეკიპაჟი მთლიანად შეიცვალა თავისი ბორტგამცილებლებითა და დამხმარე პერსონალით. რეისის გაშვება 3 საათით შეფერხდა.

— ეჭვი რომელიმე მგზავრზე ხომ არ მიგიტანიათ ან ხომ არ მოგიხსნიათ რომელიმე მათგანი რეისიდან?

— არა, ეჭვმიტანილი მგზავრებს შორის არ არის.

— იქნებ სჯობდა ექსპერიმენტის სახით შეუმჩნევლად ამოგელოთ ნივთები და ხელჩანთები იხვ იქ დაგებრუნებინათ, სადაც ინტერესო იქნებოდა, თუ ვინ მიაკითხავდა მას ადგილზე გასატანად.

— შეიძლებოდა, მაგრამ სამაქოს კომპეტენციაში არ შედის ასეთი ოპერატიული მუშაობა, თანაც საქართველოს არ გააჩნია ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან. ასე რომ, ეს აქ, ადგილზე უნდა გაგვეკეთებინა. სამაქოს მუშაკებმა კარგად გაართვეს თავი საქმეს. ამას წინათაც გვქონდა ერთი ასეთი შემთხვევა— უცხოელებს გაჰქონდათ თხუთმეტამდე ფარდაგი. ვინაიდან ხელოვნებათმცოდნე არა გვყავს, ძალიან გვეჭირა ამა თუ იმ ნივთის მიახლოებითი ღირებულების დადგენა, მაგრამ ჩვენი ეპვი გამართლდა. ეს გახლავთ მე-17, მე-18 საუკუნის დროინდელი უნიკალური და უმშვენიერესი ხელით ნაკეთობანი. მისი ღირებულება, როგორც შემდეგ გაირკვა, 131 ათას მანეთს აღემატებოდა. უცხოელები ვერ დავაკავეთ, რადგან ამის უფლება არ გვქონდა, კონტრაბანდა კი საქართველოს მუზეუმს დაეკუბრუნა.

—თუ შეგიძლიათ დახასიათებით მაინც გვითხრათ იმ ნივთების ღირებულება, თვითმფრინავის ბა[illegible] — [illegible] ან რომ ამოიღეთ ხელ[illegible]

— ალბათ გაგვიკვირდება. ეს არის უნიკალური კოლექცია ძვლისა ნივთებისა. მე-16, მე-17, მე-18 და მე-19 საუკუნეების ოქროთი და ვერცხლით მოჭედილი ბატები, ვერცხლის უამრავი მცირე ზომის ნაკეთობები, ბიბლია და სხვ. ამ ნივთთა წარმომავლობა ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ინვენტარიზაციის ნომრები აქვს და სავარაუდოა, რომ მუზეუმიდან უნდა იყოს გატანილი. წინასწარი ექსპერტიზა ჯერ არ ჩატარებულა. თუმცა ეჭვი არავის გვეპარება ამ ნივთთა ფასეულობასა და უნიკალურობაში.

— ხშირია შემთხვევები, როდესაც კონტრაბანდის გატანას ცდილობენ?

—ასეთი დიდი რაოდენობის მსგავსი კონტრაბანდის გატანის ფაქტები არც თუ ისე ხშირია, მცირე კი, თითქმის რეგულარულად გვხვდება. საზოგადოება შეჩვეული არ არის საბაჟო კონტროლს. ხშირად უკმაყოფილებას გამოქვამენ რეისის შეფერხებისა და ნივთების ჩხრეკის გამო, მაგრამ ამას უნდა შევეჩვიოთ ყველა, სხვა მხრივ წესრიგია და უსაფრთხოებას ვერ დავამყარებთ. თითქმის ყველა ცივილიზებული ერი მიესალმება საბაჟოს ფრიად საგულისხმო და დაძაბულ მუშაობას, ცდილობს უფრო სრულყოფილი და მოხერხებული გახადოს იგი. რადგან ეს არის ერის ღირსების, მისი სიმდიდრისა და ფასეულობების მავანთაგან ხელყოფის საშიშროების თავიდან აცილების უტყუარი გარანტია.

სოფელი

● ქერს მოარჩენენ და პურსა მკიან ● არსენა კობაიძე სხვებს

[illegible]არა კგავდა. ● 65 ათასი ტონა მარცვლეულისათვის ● დე-

[illegible]დოფლისწყაროელ მშრომელთა შემოდგომა უხვი და ბარა-

[illegible]ქიანი იქნება

განსაკუთრებული ალიბა

შირაქში გახურებული ალობაა. რა ხანია ქერს მორჩნენ და პურსა მკიან. დამწიფებული ყანები ოქროსფრად ხასხასებენ. აქა-იქ მწვანედ ღაღანებენ მზესუმზირის ნათესები, მთ ერთობ უქირდათ წყალი. მერე 9-10 ივლისს გადაუღებლად წვიმდა. შემინდვრეებმა გაიხარეს, რამეთუ ნანატრი ამინდი დაუდგათ. წლის მოსავალს კარგი პირი უჩანს. მართალია მკა ცოტა შეფერხდა, მაგრამ წვიმამ, როგორც იტყვიან, სულზე მოუსწრო მარად წყალს მონატრებულ შირაქის მიწას.

ვინც დღეს შირაქის ველს გადახედავს, მას უთუოდ სიამით გაუხადდება გული. ჰეშმარიტად საქართველოს პურის ბეღელია ეს მხარე. დასამალი არ არის, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ ჩვენს რესპუბლიკას ძალიან ბევრი რამ უჭირს. განსაკუთრებით გვჭირდება მარცვლეული და დედოფლისწყაროელ მემინდვრეთა ნაშრომს პირდაპირი მნიშვნელობით ადევს ოქროს ფასი. წლევანდელი მოსავალი განსაკუთრებული შრომით არის მოწეული. დედოფლისწყაროელ მეწარმელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი თავიანთი მეზობელივით გულზე ხელი არ დაუკრეფიათ, ანა ერთი ჯერ დავიცადოთ, რომელი პარტია გამარჯვებს, ან მერე როგორ განვითარდება მოვლენები. ისინი გულდადებულები შრომობდნენ, ამის ღრმა რწმენით, რომ მათი ნაშრომი თავადვე გამოადგებოდათ, მადლად წაადგებოდა საქართველოს.

როცა შირაქში ჩავდივარ ხოლმე, ერთი ღირსეული კაცის ნახვა მახარებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს ბევრს ვიცნობ, აღრე სახელმოხვეჭილს და ტიტულოვნებს მითუმეტეს, მაგრამ ჩემის ღრმა რწმენით არსენა კობაიძე მათგან გამორჩეულია.

არსენა ძია, როგორც მას ქედების ზონაში ეძახიან, თავისი ადამიანური თვისებების გამო სცვენენ პატივს. ორი აზრი არ არსებობს, კოლექტივიზაციამ ქართულ სოფელს ბოროტება მეტი მოუტანა, ვიდრე სიკეთე, ხოლო ზიანის დიდი წილი მოდის თავმჯდომარეებზე და მათ ამალაზე. სოფელს ყველაფდა ბიუროკრატთა ჯგუფი, რომელთა მოქმედებას მხარს უმაგრებდა კომუნისტური პარტიის რეჟიმი. ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ ხომ იყვნენ ღირსეული პიროვნებები, სოფლისა და ხალხის ერთგული თავმჯდომარეები? ალბათ იყვნენ და დღეს ყოველი თავმჯდომარისა თუ ნათავმჯდომარეოლის ერთ ტაფაში მოქცევა ჩვენივი უსინდისობაა...

დღეს ზემო ქედი საქართველოს უმდიდრესი სოფელია. არსენა კობაიძეს ყველა მეზობლის სახლის მშენებლობაში აქვს მონაწილეობა მიღებული.

— ქართველი კაცის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მომენტია სახლკარობა. თავად სოფელმა უნდა იზრუნოს ღირიერი, გამართული მეზობლის შემომატებაზე, — გამიგონია არსენა ძიასაგან და ამ საქმეში თვითონ აძლევდა სოფელს თანადგომის მაგალითს.

— როგორ? — იტყოდა ხოლმე, — გლეხი მთელი სიცოცხლე მიწას ებრძვის, მის ცხოვრებაში გამოერევა ხოლმე ოჯახის ბედნიერების დღე, ან პირიქით დღე უბედურებისა, როცა ამაგდარი ადამიანი ამ ქვეყნიდან მიდის, შრომის გმირი. პირად ავტორიტეტს ზემოქმედელის დასახსნელად გამოიყენებდა ხოლმე.

— ამ კაცს ცოლ-შვილი ვინ შეინახოსო? — ასე ამბობდა იქ, სადაც საჭირო იყო. ხოლო გათავისუფლებულ დაწნაშავეს ეტყოდა: შენს ოქროსავით ოჯახს მიხედე, შენი საქციელით შვილებს ნუ ღალატობო. არსენა ძიას რწმენით, უკაცოდ, მაშასადამე უპატრონოდ დატოვებული ოჯახი შეიძლება დანგრეულიყო, რამეთუ ცხოვრება რთულია და ეშმაკსაც. არ სძინავს.

როგორ არ ჰგავდა არსენა ძია ომ თავმჯდომარეებს, დაჩაგრულ უკაცო ოჯახებს წიხლს რომ დაუკერდნენ. მამულს გადაუხადვდნენ, ვინც არ ეამებოდათ, სოფლიდან გაეძევებდნენ. მაგრამ ბრბო ხომ მართლა საშინელება ყოფილა. ზარშან, როცა საქართველოში პარტიული დიქტატურა სულს ღაფავდა და ძალლი პატრონს ვერ სცნობდა, რეგიონალურმა სახალხო ფრონტმა არსენა ძიას ბოიკოტი გამოუცხადა, ვიღაცეები აიყოლიეს და ნაამაგარი კაცი გადააყენეს. უფრო სწორად, თავიდან მოიშორეს ადამიანი, რომელმაც ბარე ოთხი ათეული წელიწადი სოფლისთვის სიკეთე აკეთა.

ასაკოვანი თავმჯდომარე უნდა გადამდგარიყო, მაგრამ სახალხო ფრონტმა დაიქმული ორიოდე თვეც აღარ დაიცადა. მათ უკვე შერჩეული ჰყავდათ მომავალი თავმჯდომარე, მთავარი სპეციალისტებიც და ვეღარ ითმენდნენ, ეჩქარებოდათ. არსენა ძიას დაუმსახურებლად ატკინეს გული...

როგორც იტყვიან, ეს ყველაფერი მათ სინდისზე იყოს. ჩვენ იმასღა ვიტყვით, რომ ზემო ქედის მილიონერ კოლმეურნეობას დღეს კაპიკი აღარ გააჩნია და ამიტომ ტექნიკის სათადარიგო ნაწილები ვეღარ შეუძენიათ.

ჩვენ, რამდენიმე ჟურნალისტს გულწრფელად გვსურდა არსენა ძიას გამოვქმომგებოდით, რათა ამაგდარი ადამიანი ისე გადამდგარიყო, როგორც მის დიდ შრომას და კაცობას ეკადრებოდა, მაგრამ გვითხრეს, ჭკვიანად იყავით, ეროვნული მოძრაობის მოწინააღმდეგეებად ჩაგთვლიანო. რაღა გვეთქმოდა, გავჩუმდით, თან გული გვეთანაღრებოდა, რომ მართალი კაცი ვერ დავიცავით. რატომ ვეწერ ახლა ამას? მიმაჩნია, რომ ის დრო წავიდა, როცა ძალი პატრონს ვერა სცნობდა. დემოკრატიის გზას დავადექით და საშუალება გვაქვს, კეისარს კეისრისა მივუზღოთ, ენა როგორ მოგვიბრუნდება, რომ ყველა ეჭვის ქვეშ დავაყენოთ, მაგრამ ის, რაც ქედელების ზონაში სახალხო ფრონტელებმა გააკეთეს, აღარ უნდა გახმეორდეს. საქართველოს ამგვარი „ეროსკაცები“, ვინც წყალს ამღვრევენ და შიგ თევზის დაჭერას ლამობს, დიაღაც რომ არ ჭირდება.

არსენა ძია რომ მართალი და ქვეყნის ერთგული კაცია, ამაში ეჭვი არავის შეეპარება, ვინც კი მის პიროვნებას იცნობს. ხმა კი ვინ არ იცნობს! დედოფლისწყაროს რაიონის პრეფექტმა ბატონმა ნოდარ პატაშურმა გვითხრა, რომ ის, რაც მაინდ არსენა ძიას მოუწყეს, ჩვენი საყოველთაო სირცხვილია და ვინც ამგვარ საქმეში მონაწილეობდა, ეს უზნეო საქციელი ყველას მუქ ლაქად უნდა დარჩეს.

წლეულს, როცა ალოობა კარზე მოადგათ, აღმოჩნდა, რომ დედოფლისწყაროს რაიონის კუთვნილი კომბაინების სათადარიგო ნაწილები და აკუმულატორები სადღაც როსტოვისა თუ სარატოვის ოლქებში გაიბნა, გაჩნდა საშიშროება, რომ საქართველოს პურის ბეღელი ვეღარ გავსებოდა. არსენა კობაიძე ძველ ყონალებთან, მეზობელი აზერბაიჯანის ზაქათალის რაიონში გადავიდა და თითქმის დაუჯერებელი რამ მოხდა. ამაგდარი ადამიანის ხათრი იმდენად დიდი ჰქონდათ აზერბაიჯანელებს, რომ თავიანთი კუთვნილი სათადარიგო ნაწილები და აკუმულატორები დედოფლისწყაროელებს გადატანეს. თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ ახლა ზაქათალაშიც ალოობა, არსენა ძიამ თავისი მამულიშვილობა კიდევ ერთხელ დამტკიცა აი ისე, როგორც ნათქვამია: „ვინ ერთგულია, ვინ არა, ქვეყანამ დაინახოსა“.

...დღეს დედოფლისწყაროში ჩასულ ადამიანს უთუოდ ეამება მოსავლის სიუხვე. რაც თავისთავად იმას მოწმობს, რომ რაიონის ახალგაზრდა პრეფექტი და მისი თანამდგომნი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთი გაჯის პირველ მოსავალს, ამდაგვარი სულისკვეთება გაზაფხულზევე შეიმჩნეოდა ბოლნისის რაიონში და აქაც, დედოფლისწყაროში. რატომ გამოვყავით ეს ორი რაიონი? ალბათ იმიტომ, რომ სხვაგან, რამდენიმე რაიონში, სადაც ყოფნა მოგვიხდა, ისეთი ვითარებაა, თითქოს პრეფექტურებს მოსავლის ბედი არ აინტერესებთ და ამ საქმეს მეათეხარისხოვან ამბად თვლიან. მათი ასეთი დამოკიდებულება თვალნათლივ ეტყობა მიხდერებს, ბოსტნებს, ბაღ-ვენახებს. აბა რას აკეთებენ? იკითხავს მკითხველი. ერთნი მოსახლეობაზე ჯიმ-ჭურეულსა და ტანსაცმელს ანაწილებენ, მეორენი ვარაუდობენ, რომ რაიონულ ცენტრს დიდი ხენები, ვთქვათ, ჭადრები ანაგვიანებენ და მათ ამოძირკვას ვარაუდობენ. იმას კი ვერ თვალისწინებენ, რომ შემოდგომაზე მოსავალს მოიკითხავს ხალხიც და თავიანობაც.

აი, დედოფლისწყაროელი მინდრის მშრომელები პირნათელნი იქნებიან ქვეყნის წინაშე. ქვემო ქედის კოლმეურნეობის კალოზე საშუალოდ ყოველი ჰექტარიდან 28 ცენტნერი ქერი გაიღებ და 1500 ტონა მოსავალი დაახვავეს. ამ საქმეს სულ 6 დღეში მორჩნენ. მემინდვრეობის ორივე ბრიგადის 14 კომბაინი ახლა ხორბლის მოსავალს მკის და ამ საქმეს დაახლოებით 15 დღეში მორჩებიან. ასევე ვარაუდობენ ოზაანელები, არბოშიკელები და საბათლოელები. თითქმის არ შეუფერხებიათ მკა კომბაინერებს გივი კედელაშვილს, ბი

სატირალი რომ არ იყოს

ორგოლიანი დოკუმენტური დრამა

მოქმედი პირნი:

მე — ბედდამწყვარი კრიტიკოსი თ. წივწივაძე;
ის — ბედდამოცვლილი მარქსისტი ა. ჯოხაძე;
იბინივი — ხ. ბერულავა, თ. დოიაშვილი, ლ. ბრეგაძე;
ხევსური ქალი — ყოფილი მილიციელი, მას უკან ხ. ბერულავას „გუნდის“ წევრი.

მოქმედება პირველი

სურათი I

თბილისი, ლენინონტოვის ქუჩა №8, რესპუბლიკის ხალხაშვილ ფონდი

გაზეთ „მშობლიური კერა“-ს რედაქციაში შემოდის 50 წელს გადაცილებული კაცი — როგორც შემდგომ გაირკვევა — ანზორ ჯოხაძე და რედაქციის თანამშრომლებს ჩემს წინააღმდეგ დაწერილ წერილს კრძალვით მიართმევს. ისინი სასწრაფოდ კითხულობენ და კმაყოფილი რჩებიან. მცირედ საყვედურსაც აყალრებენ: „სად იყავი ამდენ ხანს, შე კაცო, ჩვენ რომ არ შემოგგეთვალა, შენით არ უნდა მოსულიყავი?!“ ამის შემდეგ ისინი სიცილით გადიან და ტირილით შემოვდივარ მე.

თ. წივწივაძე — (თვალზე ცრემლს ვიწმენდ და ჯული რომ მოგიკვდებათ, ისეთ ხმაზე ვიწყებ) — ქვირფასო მკითხველო! აკაკი წერეთლის ლექსიდან, თავის დროზე, ალბათ, თქვენც გულის ტკივილით შეიტყობდით, რომ ჩვენს დიდებულ პოეტს ჩვენივე ტომის კაცი — შევარდნაძე დამტერებია!

მართალია, აღნიშნულ ლექსში „სამხილი მასალა“ ისე უხვად არ არის წარმოდგენილი, ზემოთ დასახელებული გვარის კაცს ეს დანაშაული ეშმეიტანლად რომ უმტკიცდებოდეს, მაგრამ რაკი აკაკი ამბობს „შევარდნაძე დამეტერაო“, არ მგონია, მის პოეტურ გუმანს რაიმე შეშლოდა!

ჩემს შემთხვევაში კი საქმე უფრო კომიკურადაა — მე ხუტა ბერულავა დამემტერა!

თანაც ეს მწარე ამბავი მე მაშინ შევიტყვე, როცა ამ საქმეს უკვე ალარაფერი ეშველებოდა! — ლიტერატურის ყველა ჟანრიდან, რასაც კი ხ. ბერულავა მეტნაკლები ოსტატობით ფლობს — ღია ცეცხლი ოთხივ კუთხით მქონდა გახსნილი!

ტყვიების წვიმი მისი ე. წ. ლექსებიდანაც კი მესმოდა!

პირადი გამორჩენის მიზნით შექმნილ მარტო მის საკუთარ გაზეთ „მშობლიურ კერაში“ — ჩემი ხელით სულ ცალ-ცალკე მაქვს დათვლილი! — 35 ლექსი მეძღვნება!

ამ გაუგონარ ფაქტთან დაკავშირებით ჩემს ერთ ადრინდელ წერილში — **„თ. წივწივაძის ხახე ხ. ბერულავას შემოქმედებაში“** — მე კატეგორიულად განვაცხადე, რომ თუ ხ. ბერულავა ლექსებიდან ჩემს ლანძღვა-გინებას არ მოიშლიდა, მეც ლექსად ვუპასუხებდი!

იქვე ერთ საინტერესო დაკვირვებასაც ვთავაზობდი მკითხველს — „რა ვიცი, რა ღმერთი უნდა გამიწყიდეს, ის რომ ლექსს წერს, ისეთი ლექსი ყოველგვარი ვარჯიშის გარეშე მეც კი უნდა დავწერო-მეთქი!“

ის დღე იყო და ხ. ბერულავას ჩემთვის მეტი ლექსი აღარ შოუძღვნია!

და მაშინ, როცა ეს ჩემი „წითელა ბატონები“ მოხდილი მეგონა, პატიცემულ პოეტს ჩემი სახის შექმნა „გრაფიკაში“ უცდია!

სულ ახლახან მის „ხარატაანთ კერაში“ — უკაცრავად, მის „მშობლიურ კერაში“ ვინმე ა. ჯოხაძის წერილი დაიბეჭდა სათაურით: „ცდა ერთი კრიტიკოსის პორტრეტის შექმნისა“.

გაზეთის ფურცლებზე სპეციალურად მოწვეულ „მხატვარს“ ჩემი პორტრეტის შექმნა პირდაპირ „შუქ-ჩრდილებით“ დაუწყია!

თანაც, ვენაცვალე, — შუქი დაუკლია და ჩრდილები მოუმატებია!

ერთი სიტყვით, თავად ჩრდილში დამდგარა და ჩემი ჩრდილოვანი მხარეები წინ წამოუწევია!

მე სხვა რაში მჭრნია იღბალი — ამ ჩემი ცოდვით სავსეს წყალში გახსნილი სპღებავებით (აკვარელით!) და რბილი ფერადი ფანქრებით (პასტელით!) მუშაობა, ეტყობა, უკერს და ჩემს „სურათებეკი“ პირდაპირ ნახშირით უმუშავია!..

ძვირფასო მკითხველო! მინდა, თავდაზე იცოდეთ, რაკი ჩემმა ოპონენტებმა სიტყვა „შეასრულეს“, **ლექსად** ალარ მლანძღავენ და „გრაფიკაში“ გადაინაცვლეს, დათქმული პირობის თანახმად, ვეღარა მე, ვუპასუხებ **ლექსად** და „დრამატურგიაში“ ვცდი ბედს!

თუ შეამჩნიეთ, ჩემს პასუხს „პიესის“ ფორმა აქვს! ამ ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე ... კი სულ მე ვერ ვილაპარაკებ, ხანდახან სხვაც უნდა გამოვიდეს: ამიტომ ახლა მე გავალ, მაგიდაზე ჯოხს დავარტყამ და... შემოვა ჯოხაძე, — ჩემი „პორტრეტის“ ახალ შტრიხებზეც ის მოგახსენებთ.

(გავდივარ მე და შემოდის ჯოხაძე)

ა. ჯოხაძე — პასკვილების გამოცხობის ოსტატია თ. წივწივაძე და ძალიან გვიკვირს, რომ ასეთ მოურიდებელ, უზრდელ კაცს ზოგიერთი გაზეთი თავის ფურცლებს უთმობს...

თ. წივწივაძე — (მკითხველებს) ეს კაცი, რომელსაც სულ უბრალო მომართვაზეც კი ეტყობა, რომ წესიერ ოჯახშია გაზრდილი, — თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი გახლავთ! — მართალია, ცოტა ურცხვად იქცევა, მაგრამ არ გიმტყუნება — პროფესიითა მარქსისტია! ესენი კი, მოგეხსენებათ, მთელი კაცობრობის ხათელ მომავლზე ფიქრობენ, ხოლო ამ საზოგადოების ცალკეული წევრის ბედი მათ ისე აწუხებთ, როგორც, მაგალითად, ჩეეულებრივ რკინის ტრაქტორს — **პანკრეასის ჯირკვალი!**

საერთოდ კი, არა მგონია, ცუდი კაცი იყოს; აქედან გამომდინარე, ალბათ, არც ჩემზე ექნება „გლახა“ წარმოდგენა! თუმცა აგერ არის და ვნახავთ!

ა. ჯოხაძე — ისინი (გაზეთის რედაქტორები — თ. წ.) ხშირად მომართავენ დახმარებისთვის თ. წივწივაძეს, როდესაც სურთ ამა თუ იმ ავტორიტეტიანი მამულიშვილისთვის ცილის დაწამება, მისი გაქიქება და სახელის გატეხა — ასეთი. ბინძური საქმისთვის კი უკეთეს კაცს ვერც ინატრებენ. ისიც პირნათლად ასრულებს დაკვეთას, სადისტური სიხარულით დააცხრება ხოლმე თავის მსხვერპლს, განსაკუთრებით იმას, ვინც დაფასებისა და შექების ღირსია...

თ. წივწივაძე — (ერთობ გაკვირვებული!) უკაცრავად, მეგობრებო, ბატონი ანზორი, ეტყობა, ჯერ **მგელს** ხატავს, ჩემი პორტრეტის შტრიხებს კი, ალბათ, მერე გაავლებს!..

ა. ჯოხაძე — თ. წივწივაძეს უკიდურესად ეჯავრება ადამიანები. რაც დრო გადის, მით უფრო აგდებულად ექცევა მათ... ბოლმით გაბრუებული უმოწყალოდ ინნეკს მახვილს აქეთ-იქეთ. ადამიანებისთვის ზიანის მიყენების უნარი აქვს და **ამით ამაყობს** კიდეც...

თ. წივწივაძე — თუ ჩემი პორტრეტის დახატვას მოვესწარი და იქამდე ბატონმა ანზორმა გული არ გამიხეთქა, იმ ჩემი „სურათისთვის“ მშვენიერი სათაური მაქვს მოფიქრებული! —

„იარე, კაცი შენ ალარ ბქვიან!..“

ახლა კი მთელი სერიოზულობით მინდა ვუთხრა ბატონ ანზორს: მართალია, ჩემი შეურაცხყოფა თქვენ არაფრად გიღირთ, მაგრამ, რომ დაუსვით ხელი და ეს ქართული ეურნალ-გაზეთებიც ზედ მომაყოლეთ, არ გეუხერხულებათ?

რატომ უნდა სურდეს, როგორც თქვენ ბრძანებთ, „ამა თუ იმ ავტორიტეტიანი მამულიშვილისთვის ცილის დაწამება, მისი განქიქება და სახელის გატეხა“ — ასეთი. ბინძური საქმისთვის კი უკეთეს კაცს ვერც ინატრებენ. ისიც პირნათლად ასრულებს დაკვეთას, სადისტური სიხარულით დააცხრება ხოლმე თავის მსხვერპლს, განსაკუთრებით იმას, ვინც დაფასებისა და შექების ღირსია...

თ. წივწივაძე — (ერთობ გაკვირვებული!) უკაცრავად, მეგობრებო, ბატონი ანზორი, ეტყობა, ჯერ **მგელს** ხატავს, ჩემი პორტრეტის შტრიხებს კი, ალბათ, მერე გაავლებს!..

ა. ჯოხაძე — თ. წივწივაძეს უკიდურესად ეჯავრება ადამიანები. რაც დრო გადის, მით უფრო აგდებულად ექცევა მათ... ბოლმით გაბრუებული უმოწყალოდ ინნეკს მახვილს აქეთ-იქეთ. ადამიანებისთვის ზიანის მიყენების უნარი აქვს და **ამით ამაყობს** კიდეც...

თ. წივწივაძე — თუ ჩემი პორტრეტის დახატვას მოვესწარი და იქამდე ბატონმა ანზორმა გული არ გამიხეთქა, იმ ჩემი „სურათისთვის“ მშვენიერი სათაური მაქვს მოფიქრებული! —

**„ე

მარშები და დემარშები

თავის დროზე საგარეო საქმეთა მინისტრად ედუარდ შევარდნაძის დანიშვნას საგარეო საქმეთა სამინისტროში ორაზროვნულად შეხვდნენ. ერთი მხრივ, სამინისტროს ახალი სისხლი სჭირდებოდა, ანდრიაი გრომიკო მოხუცდა და უწყვნის საქმიანობაში შეყოვნება იგრძნობოდა. მეორე მხრივ, ე. შევარდნაძეს აშკარად აკლდა პროფესიონალიზმი და არავინ იცის, რა მოჰყვებოდა მის დანიშვნას. პრესის განყოფილებაში უცხოელ ჟურნალისტს შესაბამის კითხვაზე ასე უპასუხებდნენ: „ედუარდ შევარდნაძე ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეა. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, იგი აქტიურად მონაწილეობდა ამ ორგანოს სხდომებში, მაშასადამე, იცნობს არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო პროგრამებსაც, საგარეო საქმეთა სამინისტროში კარგად მომზადებული სპეციალისტები მუშაობენ და ისინი დაეხმარებიან ახალ მინისტრს, რომ სწრაფად გაერკვეს საქმეში“.

ახლა კი ვიცით, როგორ წყდებოდა საკითხები, თუ ავლიანებში განზრახული ჯარების შეყვანის ამბავი ისეთმა ყოვლისშემძლე მოსკოველმა ხელმძღვანელმაც კი არ იცოდა, როგორიც ვ. გრიშინი იყო. მაშ, რაღა სათქმელია, თითქოს საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში ერკვეოდა ე. ა. შევარდნაძე, რომელიც კრემლიდან მრავალ კილომეტრზე მუშაობდა. სმოლენსკის მოედანზე მდებარე სახლში ახალი პატრონის გამოჩენა თავისებურად ახსნა ამერიკულმა ჟურნალმა „ნიუსუიკმა“, რომელიც წერდა: მიხეილ გორბაჩოვმა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშნა თავისი მეგობარი, რომელიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მისი მაღლობელი იქნება იმისთვის, რომ პროვინციული საჭირთველოდან ამოათრიეს.

ედუარდ შევარდნაძემ მოკრძალებულად დაიწყო მუშაობა. ეჩვეოდა უჩვეულო ვითარებას, თავმდაბლად და პატივისცემით ექცეოდა სხვებს. 1985 წლის დეკემბერში უმაღლესი დონის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის შეხვედრის შემდეგ საჯაროდ მაღლობა გადაუხადა მინისტრის მოადგილეებს გ. კორნიენკოს და ვ. კომპლექტოვს დიდად პროფესიული მუშაობისთვის, ესეც კი, მალე პირველი მათგანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილებაში „დაწინაურეს“, მეორე კი პროორიენტიული ამერიკული მიმართულებიდან მეორეხარისხოვან ლათინურამერიკულ მიმართულებაზე „ჩამოაკვეთეს“. დაიწყო წმენდა.

ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით გამოცხადდა ფართომასშტაბიანი „ბრძოლა პროტექციონიზმის, ნათლიმამობის, მომხვეჭელობისა და სიქმნსობის“ წინააღმდეგ.“ კადრების სამმართველო გულმოდგინედ ადგენდა „ბლატიანი ბიჭების“, ანუ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სუკის და სხვა უწყებათა პასუხისმგებელი მუშაკების შვილებისა და ნათესავების სიას. სამინისტროს ყველა ქვეგანყოფილებაში იმართებოდა პარტიული კრებები, რომლებზეც საჯაროდ კითხულობდნენ ამ სიებს და ავლენდნენ „ულირსთ“. კატეგორიულად აეკრძალათ საზღვარგარეთ გასვლა იმათ, ვისი რომელიმე ნათესავიც უკვე მუშაობდა იქ. თანაც მნიშვნელობა არ ჰქონდა — საიდან ნათესავი, რა თქმა უნდა, „ბლატიან“ უსაქმურად ვერ ჩაითვლება ყველა, ვისი ნათესავებიც პრესტიჟულ ორგანიზაციებში მუშაობენ. დიახ, ალბათ, არც არავის მიიჩნდა ასე. საჭირო იყო კამპანია — აურზაურიანი, „პერესტროიკული“. ცხადია, ამას ნაკლოვანებანიც ახლდა. ნაჩქარევად შედგენილი სიებიდან ზოგჯერ გამორჩებოდათ ხოლმე ელჩების შვილები, სამგზავროდ დაბალი რანგის დიპლომატებიდან ერთიც არ გამორჩენიათ. არცთუ სახუმარო ომი გამოცხადდა. რამდენიმე აშკარად გახარწყლილი კაცი გამოაგდეს, ზოგს უცხოეთში გასვლა თუ დაწინაურება შეუზღუდეს. მოკლე ხანში მინისტრის 12 მოადგილიდან ცხრა გამოიცვალა. პრაქტიკულად სამინისტროს ყველა ხელმძღვანელი შეიცვალა განყოფილებათა დონეზე. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ამკარად ყრიდნენ ჭირვეულებს, რომლებსაც საკუთარი ხმა ჰქონდათ და საკუთარ თვალსაზრისს ადგენენ.

„ამხანაგებმა, ალბათ, შენიშნეს, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ სსრკ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1987 წლის 3 მაისის კრებაზე,— რომ ჩვენ ეცდილობდით საკადრო პოლიტიკაში, ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ხელმძღვანელობით, გადახრების გარეშე, რაიმე კამპანიების გარეშე გვემოქმედა. უსენსაციებოდ, დარბაისლურად, სერიოზულად, როგორც კომუნისტებს შეშვენის და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნებს შეესაბამება“.

ჰოდა, ყველაფერი დამთავრდა, ყველაფერი შეჯამდა, ყველამ ჩაბარა ანგარიში.

რამდენიმე ხნის შემდეგ ედუარდ შევარდნაძის ვაჟი, რომელსაც საერთო არა ჰქონდა რა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, სამუშაოდ გაეგზავნება ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში. თანაც, სამართლიანობის სულისკვეთების შესაბამისად, უეცრად გაუქმდება დებულება, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო ორგანიზაციების ყველა თანამშრომელი ყოველთვიურად თავის უხარმაზარ შემოსავალს შესაბამის წარმომადგენლობას ანაბრებდა და ჩვეულებრივ, საელჩო დონის ხელფასს იღებდა.

თუ საგარეო საქმეთა სამინისტროს რიგების სიწმინდისთვის ბრძოლაზე ვილაპარაკებთ, მას პარტბუმაკი მინისტრი უწინარეს ყოვლისა საბჭოთა დიპლომატების ღრმა პარტიულობის პოზიციიდან ანხორციელებდა. „საგარეო საქმეთა სამინისტრო, — აღნიშნავდა ედუარდ შევარდნაძე, — ყოველთვის იყო და რჩება უაღრესად პარტიულად, იდეოლოგიურად სუფთად, საბჭოთა ხელისუფლების მწყობრად ორგანიზებულ და შრომისუნარიან ორგანოდ...“

იმასთან დაკავშირებით, რომ ედუარდ შევარდნაძემ ამ ციტა ხნის წინათ განცხადება შეიტანა სკკპ-დან გამოსვლის შესახებ და ეს იმით დასაბუთა, რომ „ინკვიზიციურ გამძიებას“ და „გაბეზოთვის დღეს“ უმზადებენ, საგულისხმო იქნება გავიხსენოთ მისი დარიგება: „საბჭოთა დიპლომატის პარტიულობა, უაღრესად თანამედროვე ლენინური გგებით, ნიშნავს სწორედ საკუთარი აზრის საჯაროდ, თუ გნებავთ, საქვეყნო-საჯაროდ გამობატვის ნაცვლად დუმილისა, როცა ლაჩრულად თმობენ პოზიციებს, ანუ ვთქვათ, ობონენტთა მრავალრიცხოვანი ძალების შემოტეხვის წინაშე“. პრობლემისთვის თავის არიდება, მოძღვრავდა მინისტრი, „არსებითად მართლაც რომ არაპარტიული ქცევაა, მარტოოდენ პირადი პატიოსნებისა და პროფესიული ღირსების ღალატი კი არა, უაღრესად უხეში დარღვევაა პარტიის წესდებისა, რომელიც გვავალებს ყველა დონეზე დავიცვათ თვალსაზრისი, რომელსაც კომუნისტი სწორად თვლის“.

რატომღაც ყოფილმა მინისტრმა გადაწყვეტა თავისი თვალსაზრისი პარტიის გარეთ დაიცვას.

ყოფილმა მინისტრის პირველმა მოადგილემ გ. კორნიენკომ, რომელიც ხშირად განაგებდა ხოლმე „მეურნეობას“ მინისტრის მაგივრად, ერთ-ერთ სტატიაში ედუარდ შევარდნაძეს ფატბრივად დილეტანტი უწოდა. საქმე ისიც კი არ არის, რომ თავდაპირველად შევარდნაძე მოლაპარაკების დროს წინასწარ დაწერილი ტექსტებით სარგებლობდა, და კარგა დიდ ხანს ვერ ახერხებდა პოზიციის მკაფიოდ ჩამოყალიბებას: ბოლოს და ბოლოს სავალდებულო არ არის, რომ მინისტრი ორატორი იყოს და 150 ქვეყანასთან ურთიერთობის ყველა პრობლემაში ერკვეოდეს — საქმე ის არის, რომ ყოფილი მინისტრი რთული საგარეო-პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტას ზერელედ უდგებოდა.

1986 წლის მაისში, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბასუხსაგებ თანამბრძოლს თამბირზე ითქვა, რომ სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებს პრიორიტეტული ადგილი უჭირავს საბჭოთა საგარეო პოლიტიკაში. სამინისტრომი სწრაფად დაიწყეს გარდაქმნა და რამდენიმე საევროპო განყოფილებიდან შეიქმნა ევროპის სოციალისტური ქვეყნების ერთიანი სამმართველო. მის შიგნით, კერძოდ, წარმოიქმნა ვარშავის ხელშეკრულებისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს განყოფილებანი. გაჩნდა აზიის სოციალისტური ქვეყნების სამმართველოც. სოციალისტური ინტეგრადაცია დროებით მთავარ მიმართულებად იქცა სამინისტროს საქმიანობაში, დიპლომატებს ხელფასები მოუმატეს აღმოსავლეთევროპული ენების ცოდნისათვის. „მომენტის სპეციფიკა ის არის, — აღნიშნავდა ედუარდ შევარდნაძე, — რომ მომავე ქვეყნებთან ეკონომიკურ ურთიერთობაში ერთდროულად და დაუყოვნებლივ უნდა გადავჭრათ სამი ამოცანა: ვიმუშაოთ მიმდინარე ბრძოლებზე, დავამუშაოთ მათთან თანამშრომლობის 15-20 წლის პერსპექტივები და მათთან თანამშრომლობა ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ინტენსიფიკაციის რელსებზე გადავიყვანოთ, მისი შესაბამისი ახალი ფორმები დავნერგოთ...“

ჩვენი მეგობარი სოციალისტური ბანაკი ალარ არსებობს. აღმოსავლეთ ევროპაში ხელისუფლების სათავეში მოსული მთავრობები დიდი-დიდი ნეიტრალურად არიან განწყობილი ჩვენდამი. აღარ არსებობს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, დაირღვა ათწლეულობით ჩამოყალიბებული კავშირურთიერთობა. არსებობა შეწყვიტა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციამ. ბატონში არაფერი შეცვლილა, შეიცვალა კიდეც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხარჯზე. საბჭოთა ჯარები გამოყვანილია უნგრეთიდან, ჩეხეთ-სლოვაკეთიდან, გამოჰყავთ პოლონეთიდან. ამასობაში ამ ქვეყნების მთავრობები ნატოს ელჭუცვნენ და დასავლეთის მფარველობას ესწრაფვიან.

ასეთია ერთი მიმართულებით პრიორიტეტული პოლიტიკის შედეგი.

სხვა მიმართულებებით რაღა ხდება?

ხორცი შეესხა ხელშეკრულებას საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების თაობაზე. როგორც პომპეზურად აცხადებს პროპაგანდა, მოისპო ბირთვული იარაღის მთელი კლასები. მათი საერთო რაოდენობის სულ 2-3 პროცენტი. ჩვენ მოვსპეთ ჩვენი უაღლესი და უუჩვეულესი რაკეტები, ამერიკელებმა ჩვენზე სამჯერ ნაკლები მოსპეს, თანაც ის, რაც მათ მხოლოდ გეგმებში ჰქონდათ. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები უკვე დიდი ხანია ალარ მალავენ, რომ ეგრეთ წოდებული „ნულოვანი გადაწყვეტა“, რომელიც თავის დროზე რეიგანმა შემოგვთავაზა, წმინდა პროპაგანდისტული ტრიუკი იყო, რადგან საბჭოთა კავშირი ამას არასოდეს არ დათანხმდებოდა.

ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების თაობაზე ხელშეკრულება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ჩვენი შეიარაღების მკვეთრი ცალმხრივი შემცირების შემდეგ. იგი იმდენად არახელსაყრელია საბჭოთა კავშირისთვის, რომ ჩვენი სამხედროები იძულებული გახდნენ ნაწილები გადაეადგილებინათ და დაქვემდებარება შეეცვალათ. ფრიად საგულისხმოა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, მარშალ დ. იაზოვის რეპლიკა: „ამერიკელები უფრო ხშირად ჩამოვლენ ჩვენთან შესამოწმებლად, ვიდრე ჩვენ მათთან. განა ეს სამართლიანია? ანდა, რატომ ხრის, რომ საბჭოთა კავშირის თაგზე შეიძლება საინსპექციო ფრენა, ამერიკის შეერთებული შტატების თაგზე კი არა?“.

თავის ანგარიშგებაში ედუარდ შევარდნაძე წერს: „1990 წელი ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებში კონცეფციური გარდვეის წელი გახდა: განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ ფაქტს, რომ ხაზგასმით აღინიშნა — საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, ვარშავის ხელშეკრულების და ჩრდილო-ატლანტიკური კავშირის სახელმწიფოები მოწინააღმდეგენი ალარ არიან და ამიერიდან მზად არიან თავიანთ ურთიერთობას საფუძვლად დაუდონ პარტნიორობა და თანამშრომლობა“. აღნიშნეს?...

ოღონდ ყოველგვარ ცოდვას ნუ დავაბრალებთ ჩვენს ყველა დიპლომატს. მათ ძალზე ბევრი და სასარგებლო რამ გააკეთეს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განსავითარებლად. მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტრო ბიუროკრატიული ციხე მანქანაა. როგორ პროგრამასაც ჩაუშვებ, ისეთ შედეგს მოგცემს. დიპლომატს არ ძალუძს არ შესრულოს ხელმძღვანელის მითითება. რაიმე წინააღმდეგობა ანს ეძებდნენ, თუ ვინ ჩაუმატა პრეზიდენტის სიტყვას „ეარსკვლავეთის ომები“. თურმე — მეცნიერმა მრჩეველმა.

ჩვენმა მტკივნეულმა რეაქციამ ამერიკელებს აფიქრებინა, ეს პროგრამა კოზირად გამოიყენებინათ: საბჭოთა თავს ვერ გაართმევენ ასეთ ტექნოლოგიურად რთულ და ძვირადღირებულ პროგრამას და ყოველნაირად ეცდებიან შეიარაღონ იგი, ან იქნებ დათმონ კიდეც, ჰოდა, სწორედ ასე მოხდა.

მაგრამ კონცეფციები თეორეტიკოსებს მივანებოთ. 1988 წლის ივლისის მიწურულს ედუარდ შევარდნაძემ საგარეო საქმეთა სამინისტროში სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია გამართა თემაზე: „სკკპ XIX საყავშირო კონფერენცია: საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია“ (მას საერთოდ ძალზე უყვარდა ჭკუის დარიგება დიდი და პატარა პარტიული ფორუმების შემდეგ). საგარეო საქმეთა სამინისტროს კონფერენციაზე მოხსენებაში, იცოდა რა, თუ მალე საიდან დაუბერავდა ქარი, მან ბრძანა, რომ ახალი აზროვნება მშვიდობიან თანაარსებობას ბირთვული ხანის კონტექსტთ განიხილავს, თანაც „ჩვენ სავსებით საფუძვლიანად უარს ვამბობთ დაენახოთ მასში კლასობრივი ბრძოლის სპეციფიკური ფორმა“.

5 აგვისტოს საქალაქო კომიტეტში გამოსვლისას, იგორ ლიგაჩოვმა განაცხადა: „ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობას კლასობრივი ხასიათი აქვს. საკითხის სხვაგვარად დასმას მარტოოდენ დაბნეულობა შეაქვს საბჭოთა ადამიანებისა და ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრების შეგნებაში“. ამავე დროს ა. იაკოვლევი, ბალტიისპირეთში თავისი ისტორიული მოგზაურობის დროს, კლასობრივ ინტერესებს არ შეხებია, სამაგიეროდ აქტიურად იცავდა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს.

თეორიის თვალსაზრისით საკითხი მართლაც საინტერესო იყო. თითქოს საერთაშორისო ცრუს შორის) ურთიერთობა არ შეიძლება კლასობრივი იყოს, აი, სანულმწიფოებს, როგორც კლასობრივ სტრუქტურებს შორის კი სხვაგვარად არ იქნებაო. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯ. მეტლოკმა, რომელიც ედუარდ შევარდნაძეს ეახლა მიმდინარე საკითხების განსახილველად, თავი ვერ შეიკავა და საუბრის ბოლოს ჰკითხა:

„ამ ბოლო ხანს იაკოვლევი და ლიგაჩოვი სხვადასხვა თვალსაზრისს გამოთქვამენ მშვიდობიანი თანაარსებობის ხასიათზე, თქვენ რას იტყოდით ამის გამო?“. პასუხი: „საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას ჩვენი ქვეყნის ლიდერი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი განსაზღვრავს“. კითხვა: „ეს გასაგებია. მაგრამ თუ პრობლემის მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, ხომ არ გაგვაცნობდით თქვენს საკუთარ თვალსაზრისს მშვიდობიანი თანაარსებობისა და კლასობრივი ბრძოლის თანაფარდობაზე?“. პასუხი: „ყოველივე, რაც საჭიროა, ნათქვამია მიხეილ გორბაჩოვის გამოსვლებში“.

დიახ, ასეთი იყო მინისტრის პირადი პოზიცია.

მაშ, რა მოხდა, რატომ გადადგა უეცრად ედუარდ შევარდნაძე?

მე მგონი, მისთვის გარდამტეხი გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტი 1989 წლის სექტემბერში. როგორც ყოველთვის, მან ამერიკის პრეზიდენტს საბჭოთა პრეზიდენტის წერილი ჩაუტანა უამრავი წინადადებით, რომელთა შორის გამოირჩეოდა ის აზრი, რომ იგი უარს ამბობდა ერთმანეთთან დაეკავშირებინათ სო და სტრატეგიული ბირთვული იარაღის შემცირება და თანახმა იყო დაეწგრია „ეარსკვლავეთის ომები“ კოსმოსიარაკის ჯერაც აუშენებელი რადიოსადგურიდან სადგური, რომლის ნახვის შემდეგ ამერიკელი სენატორები ვერც კი მიხვდნენ, რამეს აშენებენ თუ ანგრევენ. მაგრამ ეს არ იყო მთავარი. ამერიკელები გაოცა ედუარდ შევარდნაძის გულახდილობამ. სახელმწიფო მდივანმა ჯ. ბეიკერმა იგი თავისთან, ვაიომინგში მიიპატიჟა, და ოთხი საათის ფრენის დროს ედუარდ შევარდნაძე მართლაც რომ „დასტიროდა“ საბჭოთა კავშირის სამინაო პრობლემებს, ეკონომიკურ არეულობას და ეროვნულ კონფლიქტებს. ჩვენმა მინისტრმა ტექნოლოგიური და იდეებით დახმარება ითხოვა. ეს არნახული ამბავი იყო ასეთი დონის შეხვედრებისათვის. წარმოიდგინეთ, ჯ. ბუშს რომ დაეწყო წუწუნი იმის გამო, რომ ამერიკაში „კონომიკური დაქვეითება შეიმჩნევა, რომ იაპონელებთან ვერაფერი გაუწყვიათ, რომ კონგრესში გასაქანს არ აძლევენ დემოკრატებს, ამას დაუმატეთ შიდსი, დამნაშავეობა, ნარკოტიკები, რასიზმი, განათლების დაბალი დონე?! ჰოდა, ეთხოვა, იდეებით დამეხმარეთო...

ასე იყო თუ ისე, ედუარდ შევარდნაძე ამერიკიდან „ძამყოფილი წამოვიდა, ან მოსკოვში კი მალე საავდრო ღრუბლებმა იწყეს თავმოყრა მის თავზე. აღმოსავლეთ ევროპის „ნაზ რევოლუციებს“, პანამაში ამერიკელთა შეჭრას, გერმანიის გაერთიანებას -არ შეიძლებოდა ნეგატიური რეაქცია არ გამოეწვია საბჭოთა კავშირში, ჰოდა, საგარეო პოლიტიკის კრიტიკაც ძლიერდებოდა. საგარეო საქმეთა მინისტრი გადადგომაზე ფიქრობდა.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა IV ყრილობაზე შევარდნაძის გამოსვლა ის კაცის გაფიცხებას ჰგავდა, რომელმაც ორიენტირი დაკარგა. მიუზეიდავად ამისა, რომ გადადგომა „დიდი ხნის ფიქრია და უძილო ღამეების შედეგი“ იყო და პრეზიდენტის გაწამებელად უკეთეს ადგილს ძნელად თუ იპოვიდა, სიტყვა მწყობრი ვერ გამოუვიდა. „სოიუზის“ დეპუტატთა ჯგუფის გარდა რატომღაც ლუკიანოვსაც მოხვდა. გასისა რაღაც ბუნდოვანი გაფრთხილება დიქტატურის შესახებ, თანაც ახლა, როცა დემოკრატთა მოქმედება დაქსაქსულად გამოიყურებაო.

ედუარდ შევარდნაძემ გადაწყვიტა ახალი პოლიტიკური აზროვნებისა და დემოკრატიისათვის მეიბრძოლა თავისი ცხოვრება. თანაც — მსოფლიო მასშტაბით. ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი უკანასკნელი ჩასვლის დროს, როცა უკვე კერძო პირი იყო, შევარდნაძე სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს შეხვდა, ყოფილი პრეზიდენტთან ჯიმი კარტერით დაწყებული და ჯეკი ონასისით და კენედების კლანით დამთავრებული. როგორც ჟურნალი „ნიუსუიკი“ გვამცნობს, თავისუფლებასა და დემოკრატიაზე ლექციების წაკითხვისათვის შევარდნაძემ 100 ათასი დოლარი მიიღო (სსრ კავშირის სახმაკუის კურსით — 2 მილიონ 700 ათასი მანეთი).

...ე. შევარდნაძე ამერიკის ქალაქ ატლანტის უნივერსიტეტშიც გამოვიდა. ლექცია პრაქტიკულად მუქთა იყო. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. ამ უნივერსიტეტში შეკვიდა სასწავლებლად მისი შვილიშვილიც — თამუნია მოსაშვილი. ამ დროს „განთავისუფლებულ“ ქუეყანაში გრძელდებოდა სასაკვდილო განაჩენების გამოტანა, „კუსირებულ“ არაბულ ციხეებზე ისრაელელები პალესტინელებს სცემდნენ, იქვე, ეთიოპიაში ჭალნი ბუზებივით წყდებოდა. დედამიწაზე ზოგადსაკაცობრიო ღირებულებანი დაბიჯებდნენ. ახალი პოლიტიკური აზროვნება მოედო მთელ პლანეტას და ამ მშვენიერ სამყაროში რაღაც ობლად ყიოდა ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ხმა, რომელიც კვლავ აღშფოთებას გამოთქვამდა კუბაში ადამიანის უფლებების დარღვევისა და უდემოკრატობის გამო.

ა. სილანტიევი

„ხოვეტსკაია როსია“. 1991 წელი. № 187.

რედაქციისაგან: ის, რომ „ხოვეტსკაია როსია“ აბსოლუტურად ყველა მორალურ, ზნეობრივ, პროფესიულ პრინციპებს მოკლებული ოდიოზური ანტი-გაზეთია, ქართველ მკითხველს (და არა მარტო ქართველ მკითხველს) შესანიშნავად მოეხსენება. უბრალოდ ამ შემთხვევაში პრობლემა და კონკრეტული შეფასებანი ჩვენი საზოგადოებისათვისაც საინტერესო და აუცილებელი გახლავთ. ეს მიზეზი კი წერილის გადმოსაბეჭდად რედაქციამ საკმარისად ჩათვალა.

ვინ შეკაზმავს ცხენს?..

ჩვენს საუკუნეში სულ უფრო მეტად გვეხატება ხოლმე ცოცხალი ბუნება, ქალაქის მკვიდრნი ვცდილობთ როგორმე თუნდაც მივუახლოვდეთ ბუნების გარემოს — ზოგი აკას გიჩერს ხოლმე აივანზე, სხვები კი კაქტუსებს აშენებენ... შესაშენი კი გატაცებული არიან სპორტის ერთადერთი სახეობით, სადაც ადამიანი უკავშირდება ცხოველს, — ცხენოსნობით. სწორედ მათთვის დიდი მოვლენა გახდა თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე შაბათ-კვირაობით გამართული დღესასწაულები.

ასობით სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანი იკრიბება ხოლმე ამ დღესასწაულებზე, როგორც ამპულერიზაციას უწევენ საცხენოსნო სპორტის ეროვნულ და კლასიკურ სახეობებს: მარულას, ისინდს, ცხენბურთს, ყაბახს, მკერდობასა და სხვას. აქ ეწყობა ადრეთვე დერბი, ცხენის გაწვრთნილობა და ჯიღების (ცხენის თავსამკაულის) ბრძოლა...

— მეცხენეობა საქართველოში ოდითგანვე გავრცელებულია, — თქვა იპოდრომის დირექტორმა მიხეილ ტატიშვილმა, — ქართველების სარწმუნოება და წეს-ჩვეულებანი ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან გვივითარებდნენ ცხენის სიყვარულს, რომელიც მეოთხისა და მხვნელ-მთესველის ერთგული მეგობარი და თანაშემწე იყო. ფართოდ განვითარდა იგი XIX-XX საუკუნეებში. მაგალითად, ძალზე პოპულარული იყო დერბი — საჯდომი ჯიშის წმინდასისხლიანი ჯ. ბედაურების საიპოდრომო გამოცდა. იგი პირველად 1778 წელს გამართა ინგლისში ლორდმა დერბიმ, რუსეთში გავრცელდა 1886 წელს, საქართველოში კი 1846 წლიდანვე უკვე ცნობილი იყო. მიმდინარე საუკუნის დამდეგს თბილისში გაჩნდა პირველი ჟოკეიკლუბები. საერთოდ, დოღი ყველა ეროვნული დღესასწაულის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო. ჩვენი საცხენოსნო სპორტი ვითარდებოდა, ჩინებული სახელი დატოვა მან საზღვარგარეთ. 1912 წელს ოფიცერმა კ. ავალიშვილმა რუსეთის იმპერიის ისტორიაში პირველმა გაიმარჯვა ლივერპულის სტიპლ-ჩეიზში (დაბრკოლებებით რბოლაში). 1938 წელს ა. ხაინდრავამ, რომელიც „ფშაველად“ წოდებული ცხენით გამოდიოდა, საუკეთესო. შედეგი უჩვენა დიდ საკავშირო დერბიში. და ეს შედეგი 30 წელზე მეტ ხანს ვერავინ ვერ გაიმეორებსა.

ქართული ცხენოსნობის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით ა. დარასელიას, გ. ივანიძეს, ე. ძიძიგურს, პ. შეედლიშვილს, ნ. ნაჭუკიანს, შ. ჭოკაძეს, ვ. ნავროზაშვილს, ვ. ერისთავს, გ. ქიქავას, ბ. კორძაიასა და სხვებს.

ახლა, სამწუხაროდ, ისეთ ინტერესს უკვე ალარ იჩენენ სპორტის ამ სახეობისადმი, თუმცა, თბილისში მოქმედებს მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და საცხენოსნო-სპორტული ტურიზმის საზოგადოება, აგრეთვე ბავშვთა საცხენოსნო-სპორტული სკოლა, სადაც 150-ზე მეტ ნორჩ მხედარს ამზადებენ. მას თავისი ჯგუფები აქვს სენაკში, ოჩამჩირეში, გულრიფშში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. აი, უკვე რამდენიმე წელია მწვავედ დგას ყოკეების სპეციალური სკოლის შექმნის საკითხი, მაგრამ იპოდრომის ხელმძღვანელობის, სხვა დაინტერესებული პირების ყველა ცდა ამაოა. ყოველივე ამის პასუხად ოფიციალურ სალრბის უკმარისობას, უარისთვის სხვა საბაბს გამონახავენ ხოლმე. ჩვენ კი ძალზე გვჭირდება ყოკეები — დღიის პროფესიული მხედრები, საჯდომი ცხენების გაწვრთნა-გამოცდის სპეციალისტები! სწორედ მათი წყალობით შეიძლია ქართულ სპორტს წარმატებების მიღწევა საერთაშორისო ასპარეზზე.

სხვა ნაკლოვანებანიც საკმაოდა. მაგალითად, ცხენების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭიროა დოღების, გამოფენების, გამარჯვებულთა ტიტულების კარგად მოფიქრებული სისტემა, გამოცდილების ფართო გაზიარება.

რესპუბლიკას შეუძლია იკისროს მეცხენეობისა და საცხენოსნო სპორტის განვითარების უდიდეს შესაძლებლობათა განხორციელება. მით უმეტეს, რომ არიან ახალგაზრდა მხედრები, რომლებსაც ძალუძთ ღირსეულად განაგრძონ უფროსი თაობის ტრადიციები. გარდა ამისა, ახლანდელ ეკონომიკურ პირობებში საჭიროა არა მარტო განვავითაროთ საცხენოსნო სპორტი, არამედ გამოვზარდოთ, მოვამზადოთ და ჩვენთვის სარგებლიანად გავყიდოთ სპორტული ცხენები. მეცხენეობასთან დაკავშირებულ ამ და მრავალ სხვა საკითხს რაც მალე გადაეწყვეტთ, მით უკეთესი იქნება.

დავით რამიშვილი,
საქინფორმის კორ.

პარლამენტს წარუდგინეს „სამოქალაქო ქარტია“

ბრიტანეთის მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა „სამოქალაქო ქარტია“ — დოკუმენტი, რომელიც დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, სახელმწიფო სექტორის საწარმოებსა და სამინისტროებს, აგრეთვე ახალ უფლებას ანიჭებს მომხმარებლებს. საკარაუდო ღონისძიებათა შორის არის მუნიციპალიტეტის საქმიანობისადმი კონტროლში სარეგისტრაციო ორგანოების როლის გაძლიერება, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება.

გარდა ამისა, მოელიან, რომ ბრიტანეთის რკინიგზის მგზავრები მიიღებენ უფლებას მოითხოვონ კომპენსაცია, თუ მომსახურება არ შეესაბამება იმ დონეს, რომლის ამედი მათ ჰქონდათ წინასწარ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამა თუ იმ პროფკავშირის „არაოფიციალური აქციების“ შედეგად დაზარალებული მგზავრები შეძლებენ სასამართლოში უჩივლონ მათ. რაც შეეხება „ოფიციალურ აქციებს“, პროფკავშირები მოვალენი იქნებიან აცნობონ ისინი მოსახლეობას შვიდი დღით ადრე.

მმართველი კონსერვატორული პარტია პარლამენტს „სამოქალაქო ქარტიას“ სთავაზობს როგორც ოთხმოცდაათიანი წლების „დიად იდეას“. მან ისეთივე როლი უნდა შეასრულოს, როგორიც ოთხმოციან წლებში შეასრულა პრივატიზაციამ. კონსერვატორები იმედოვნებენ, რომ წარმატების შემთხვევაში ეს დოკუმენტი შეიძლება გახდეს მათი წინასაარჩევნო პროგრამის არსებითი ნაწილი მომდევნო საყოველთაო არჩევნებისათვის მზადების დროს, რომელიც უნდა გაიმართოს 1992 წლის შემოდგომაზე მაინც.

ზოოპარკის უჩვეულო ბინადარი

ბუენოს-აირესის ზოოპარკში გაჩნდა ახალი უჩვეულო ბინადარი. ეს არის პანდა სახელად ანდი. იგი არის სამხრეთ ამერიკაში აღმოჩენილი ენოტისებრთა ოჯახის იშვიათი სახეობის ცხოველთა პირველი წარმომადგენელი. სამი წლის ხვადი 25 ათას დოლარად შეიძინეს ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ზოოპარკში. ანდი შშვენივრად შეეგუა თავის ახალ სახლს, სადაც მალე მიიყვანენ ჩინეთში შეძენილ ძუ პანდას. ანდის ჩამოსვლა არგენტინელი ზოოლოგებისათვის ნამდვილი ისტორიული მოვლენა გახდა, მსოფლიოს ზოოპარკებში ხომ ამ სახეობის სულ მხოლოდ 175 წარმომადგენელია.

პანდების სამშობლოა ჰიმალაის მთიანი ტყეები. მაგრამ, სპეციალისტთა აზრით, პანდების შენახვა ტყეობაში ერთადერთი შესაძლებლობაა შეინარჩუნონ ისინი როგორც სახეობა, რომელიც მალე ქრება ბუნებრივ პირობებში. ბინადრობის ჩვეულ გარემოში ეს ეგზოტიკური ცხოველები პრაქტიკულად დასალუპავად არიან განწირულნი, რადგან ადამიანს საქმიანობის შედეგად მთლიანად მოისპო ბამბუკის ბარდები, რომელიც მათთვის კვების ძირითადი წყაროა.

რამდენიმე სტრიქონით

ესტონეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე არნოლდ რუტელი შეერთებულ შტატებში იმყოფება. იგი შეხვდება სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის მოადგილეს ოდლბერგერს და რამდენიმე სენატორს. რუტელი შეერთებულ შტატებში ჩავიდა ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის მიწვეიდან და თან ჩაიყვანა ესტონეთის სპორტსმენთა ნაკრები, რომლებიც მონაწილეობენ სპორ